ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 5 აპრილი, 2013 №80 (6081) ფასი: 30 თეთრი

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




# სოზარ სუბარი უჩა ნანუაშვილის წინააღმდეგ





გვ.3

რა პრეტენზიები აქვს სახალხო დამცველს

## ახმედ ზაკაევი: „სააკაშვილის გარემოცვა ჩეჩენ მებრძოლებს ამზადებდა“

გვ.4



## კალაძე საქართველოს პესებად ქცევას უპირებს?

ნაციონალები ენერგეტიკის მინისტრს მადლობას უხდიან



გვ.4



გვ.2

გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალები აუცილებლად უნდა გასამართლდნენ!“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჟურნალისტებთან შეხვედრას არასდროს გავურბივარ“

„ქვეყანაში დანაშაულის 40% -50% -იანი კლებაა“



გვ.3

## გელა კვაჭანტირაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ნაციონალები რამდენიმე სატელიტ პარტიას შექმნიან“



გვ.6

## სექტების აქტიურობამ საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია



გვ.5

3 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
იოანე პავლე II
8 ლარი




ISSN 1987-9385

2 ანდრო ბარნოვთან დაგეგმილ შეხვედრაზე გამგებლები არ გამოცხადდნენ

6 გაძვირებული ელექტრობა

3 ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება

5 „სითი პარკის“ თანამშრომლები სასამართლოს მიმართავენ

# გელა ნიკოლაიშვილი: „ნაციონალები აუცილებლად უნდა გასამართლდნენ!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, რაც უფრო ახლოვდება 19 აპრილი, მით უფრო ხშირად გვესმის ნაციონალების გამომწვევი და მუქარანარევი განცხადებები, განსაკუთრებით კი ვანო მერაბიშვილის მხრიდან. თქვენი აზრით, რა ხდება, გვაშინებენ თუ მართლაც აქვთ სიტუაციის შეცვლის შანსი?***

— გვაშინებენ. მე ამას შევადარებდი, ჰიტლერის ბოლო დღეები იყო და იძახდა, მოსკოვი უნდა ავიღოო, არადა, ბერლინს იღებდნენ. ამას თავისი მომხრეების გულის გასამაგრებლად აკეთებდა. ეს ჩვეულებრივი ტაქტიკაა, ჩვეულებრივი ხერხია. მე მგონია, რომ ყველა დაინახავს, არაფერიც არ იქნება. ხალხის მიზიდვისთვის ინტრიგასაც აძლევს ამ ყველაფერს მერაბიშვილი, მობრძანდით, ვანოს შოუ იქნება ძალიან საინტერესო და იქნება ბევრი სიურპრიზებით სავსეო. ხალხს უყვარს სიურპრიზები და რაღაცა გარკვეული ნაწილი შეიძლება სიურპრიზების სანახავადაც მივიდეს. მე იმედი მაქვს, რომ ამ აქციას ბევრი ტელევიზია გადასცემს და ხალხი ტელევიზორითაც ნახავს, რა სიურპრიზები იქნება. ჩემი აზრით, მთავარი სიურპრიზი ის იქნება ნაციონალებისთვის, რომ ხალხის რაოდენობა, რომელსაც ისინი ელიან, არ გადააჭარბებს საშუალო რიცხვს, რომელიც ნებისმიერი საშუალო სიდიდისა და გავლენის პარტიას შეუძლია მიიყვანოს იქ. სხვათა შორის, 14 აპრილს სპორტის სასახლეში ყოფილი პოლიტპატიმრების ინიციატივით იმართება ღონისძიება ლოზუნგით: „რეჟიმი უნდა გასამართლდეს!“ და მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ რაოდენობაზე მეტ ადამიანს, ვიდრე იქ შეიკრიბება, ნაციონალური მოძრაობა ვერ შეკრებს. ამითაც გამოჩნდება, რომ ის მთელი რესურსი, ძალისხმევა, რომელსაც ისინი ამ საჩვენებელ გამოსვლას ახმარენ, ჩაივლის ფუჭად და ვერანაირი რეანიმაცია და რეაბილიტაცია, რასაც ისინი ცდილობენ, რომ მიაღწიონ, 19 აპრილს ვერ მოხდება.

***— ახალი მოძრაობის შექმნასაც გვპირდება მერაბიშვილი...***

— ვიმეორებ, სიურპრიზები, სიახლე ხალხის ინტერესს იწვევს და ამიტომ ის არწმუნებს ადამიანებს, ჩვენ განვახლდებით, განვიწმინდებით, უკეთესები გავხდებით, რაღაცა სიახლეები გვექნებაო, თუმცა ამას ისეთივე შედეგი ექნება, როგორიც, მაგალითად, საროსკიპოდან გამოსული როსკიპების მიერ ქადაგების დაწყებას ექნებოდა მორალსა და პატიოსნებაზე. საზოგადოება ისევე დაიჯერებს ნაციონალების განწმენდას, როგორც როსკიპებს დაუჯერებენ პატიოსნებაზე ლაპარაკს, მით უმეტეს, რომ განწმენდა შესაძლებელია მხოლოდ მონანიების შემდეგ მოხდეს. წარმოიდგინეთ, როსკიპები რომ ამბობდნენ, ჩვენ ვართ წესიერი ადამიანები, ჩვენ მორალის კუთხით სანიმუშოები ვართ, ამ მხრივ არაფერი შეგვშლია და თქვენც მორალურად უნდა იქცეოდეთ. დაახლოებით ამას შევადარებდი ნაციონალური მოძრაობის მიერ წამოწყებულ ამ კამპანიას, რომ ახალი მხარდამჭერები გაიჩინონ. ვიმეორებ, განწმენდა ხდება მხოლოდ მონანიების შემდეგ და მონანიებაც გულწრფელი უნდა იყოს. გულწრფელი კი არა, არაგულწრფელი მონანიებაც ჩვენ არ მოგვისმენია ნაციონალებიდან და, აქედან გამომდინარე, მათი ძალისხმევა უშედეგო იქნება.



***— ბატონო გელა, რამდენად სახიფათო სიტუაცია შეიძლება შეიქმნას და პროვოკაციებს ჰქონდეს ადგილი ამ დღეს?***

— მე არ ვფიქრობ, რომ რაიმე სახიფათო სიტუაცია შეიქმნება. თუ თვითონ რაღაცა პროვოკაცია აქვთ დაგეგმილი, ვიღაცაზე დაარტყმევინებენ ან ასროლინებენ, ან დააჭრევინებენ და ვიღაცა სხვას დააბრალებენ, არ არის გამორიცხული, მათ ეს მოინდომონ, თუმცა, არა მგონია, იმდენად უძლური ან უჭკუოა ეს ხელისუფლება, რომ ამას აჰყვნენ. პოლიცია მაქსიმალურად უნდა იყოს ამ დღეს მობილიზებული, რომ სწორედ პროვოკაცია არ დაუშვას, თორემ მათი შეკრებისთვის ხელის შეშლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

***— თქვენ 14 აპრილი და სპორტის სასახლეში პოლიტპატიმრებისა და საზოგადოების წარმომადგენლების შეკრება ახსენეთ... საკმაოდ ხშირად გვესმის უკმაყოფილება, რომ ახალი ხელისუფლება რატომღაც აჭიანურებს სამართლიანობის აღდგენის დაწყებას, არ აპირებს რეჟიმის გასამართლებას და, პირიქით, კოაბიტაციაში შედის ყოფილ ხელისუფლებასთან. რამდენად არის ასე და რა შეიცვლება 14 აპრილის შემდეგ?***

— მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ მიზეზითაც ხდება ეს შეკრება, რაზეც თქვენ ისაუბრეთ. ეს ყოფილი პატიმრები, უბრალოდ, ამ შეკრების ინიციატორები არიან, თორემ ისინი ორასამდე არიან, მეტი არა და სპორტის სასახლე, ბუნებრივია, ამ ორასი კაციით ვერ შეივსება. მათი მოწოდებაა, შეიკრიბოს ყველა ის ადამიანი, ვინც იმ ხელისუფლებისგან დაიჩაგრა მორალურად, ფსიქოლოგიურად, მატერიალურად, ვისაც ქონება წაართვეს, თავისუფლება წაართვეს, სიცოცხლე წაართვეს. ასეთი ძალიან ბევრია და მათი ოჯახის წევრები და თავად ეს დაზარალებული ხალხი იკრიბება. უბრალოდ, ინიციატივა აიღეს ამ ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, უსამართლოდ და სასტიკად დასჯილებმა, თორემ იქ სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები შეიკრიბებიან. ისინი თავიანთ მესიჯს გაუგზავნიან ხელისუფლებას სწორედ იმ მოთხოვნით, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს, რეჟიმი უნდა გასამართლდეს. აი, ეს არის ორი მთავარი სლოგანი. რეჟიმის გასამართლება თავიანთი წარმომადგენლებით, ოდიოზური ფიგურების სახით აუცილებლად უნდა მოხდეს. როგორც ფაშიზმს უყურებენ მთელ მსოფლიოში, როგორც ფაშიზმია აკრძალული, ისევე უნდა აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა. მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს მათი რეალური სახე. თუ ნიღაბი არ ჩამოეხსნათ და არ წარმოჩნდა მათი „საქმენი საგმირონი“, არ იყვნენ გასამართლებულნი და ადეკვატურად დასჯილნი, მაშინ საფრთხე ყოველთვის იქნება იმისა, რომ ლამაზი ლოზუნგებისა და სიტყვების იქით, ფსევდოდემოკრატიული ღირებულებების წარმოჩენით კიდევ ერთხელ შეიყვანონ საზოგადოება შეცდომაში. ეს რომ არ გამეორდეს, ამისთვის არის აუცილებელი ამ რეჟიმის გასამართლება და ადრე თუ გვიან ეს აუცილებლად მოხდება.

***— ბატონო გელა, რატომ არ ფიქრობს ახალი ხელისუფლება, რომ რეჟიმი გაასამართლოს? საუბარია იმაზე, რომ დასავლეთთან მოხდა შეთანხმება და ამიტომ ნაცმოძრაობა, როგორც რეჟიმი, არ გასამართლდება. რამდენად დაუშვებს ამას საზოგადოება?***

— დიახ, მაგის ნიშნებს მეც ვატყობ და საზოგადოებაც. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის ასეთი მიდგომა მიუღებელია. გარკვეული დოზით შეიძლება ამნისტიაც გამოცხადდეს, რაღაცა შეწყალებაც მოხდეს, მაგრამ, თუ ავს ავი არ უწოდე და დამნაშავეს დამნაშავე არ დაარქვი, ისე არც კოაბიტაციაა მისაღები, არც თანამშრომლობა და არც მომავლის პერსპექტივა არსებობს. მაშინ აირევა ყველაფერი, დამნაშავე-უდანაშაულო, წესიერი-უწესო, პატიოსანი-უპატიოსნო, სიმართლე-ტყუილი — ეს ყველაფერი დაკარგავს თავის ფასსა და ღირებულებას. ამ ყველაფერს თავისი სახელი იმიტომ ჰქვია, იმიტომ არის ღირებული და იმიტომაა არჩევანი ბოროტსა და კეთილს შორის, რომ ბოროტს ბოროტი ჰქვია და კეთილს — კეთილი. თუ ასეთი აღრევა მოხდება და ყველაფერს თავისი სახელი არ დავარქვით, მაშინ არანაირი პერსპექტივა არც საზოგადოებასა და არც ხელისუფლებას აღარ ექნება.

***— ცნობილია, რომ სპორტის სასახლეში შეკრებილი საზოგადოება ამის მოთხოვნას კატეგორიულად აპირებს ხელისუფლებისგან. რამდენად არის იმის შანსი, რომ ეს მოთხოვნები ხელისუფლებამ გაიზიაროს?***

— იმდენად არის შანსი, რამდენადაც ეს მოთხოვნები რადიკალური და მწვავე იქნება, რამდენადაც იქნება ადეკვატური ის ძალისხმევა, რომელსაც საზოგადოება მიმართავს აქეთკენ. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი. 14-ში კი იქნება დიდი შეკრება, მაგრამ შემდგომში მუდმივად უნდა შეახსენოს საზოგადოებამ ხელისუფლებას, რომ მათი მიზანი სამართლიანობის აღდგენა და რეჟიმის გასამართლებაა. რეჟიმის გასასამართლებლად კი იმდენი წყარო, დოკუმენტი და მტკიცებულება არსებობს, რომ მეც ძალიან მიკვირს, რატომ აჭიანურებს ხელისუფლება ამ მიმართულებით თავის ძალისხმევას და ძალიან ნელი ტემპით მუშაობს. მე მესმის, რომ ბევრია საქმე, მაგრამ ბევრი თუა საქმე, ბევრი უნდა იყოს გამომძიებელი, ბევრი უნდა იყოს პროკურორი, ეს უნდა იყოს პირველი რიგის ამოცანა და სამართლიანობის აღდგენას ალტერნატივა არა აქვს.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ მასობრივი ხასიათი უნდა მიიღოს საზოგადოების მხრიდან ამ მოთხოვნებმა... გამოდის, არც საპროტესტო აქციებია გამორიცხული.***

— მე ამას არ გამოვრიცხავ, თუ არ დაკმაყოფილდა საზოგადოების მოთხოვნა, თუ 100%-ით არა, თუნდაც რაღაცა დონეზე მაინც. კიდევ ვიმეორებ, მთავარია, წარმოჩნდეს ამ რეჟიმის სახე სამართლებრივი კუთხით, რა დააშავა და რა არის მიუღებელი, რას ჰქვია დანაშაული და ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იქ ათასობით ადამიანი გასამართლდება. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე ათეული ან მაქსიმუმ ასი ადამიანი, მაგრამ მათი გასამართლებაც არ ნიშნავს ჯოჯოხეთურ პირობებში ჩაგდებას. ეს ნიშნავს იზოლირებას საზოგადოებისგან გარკვეული დოზით, გარკვეული ვადით. მთავარი ის არის, რომ საზოგადოება ამით მიიღებს იმას, რასაც მოითხოვს.

***— ამბობენ, რომ რეჟიმის გასამართლების მომხრე ივანიშვილიც იყო, მაგრამ დღეს ერთი პოლიტიკური პარტიის გავლენის ქვეშ მოექცა. საუბარია რესპუბლიკელებზე და ისინი კი ნაციონალების, როგორც რეჟიმის გასამართლებას არ დაუშვებენო... რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— მე არ მგონია, რომ ივანიშვილი იყოს ვინმეს გავლენის ქვეშ მოქცეული. ჩემი აზრით, ის ანგარიშს უწევს გარკვეულ გარემოებებს, ამ შემთხვევაში ძირითადად დასავლეთს, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას, თუმცა ასი პროცენტით მათთვის ანგარიშის გაწევაც არ შეიძლება, მონახული უნდა იყოს რაღაცა ბალანსი საზოგადოების ინტერესებსა და მათ მოთხოვნებს შორის და მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ივანიშვილი ამას მოახერხებს. კონკრეტული პარტიების გავლენის ქვეშ მოქცევა არ გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ინტერესი უკანა პლანზე იყოს გადაწეული. ვინც მოინდომა საზოგადოების ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა, იმან ყოველთვის წააგო და ეს, მე ვფიქრობ, ივანიშვილს ყველაზე უკეთესად ესმის.

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი – კარლო ც. და გიორგი კ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დამნაშავეები ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე დააკავეს. მათი პირადი ჩხრეკისას 12 აბი „სუბოქსი“ ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ კარლო ც-ს და გიორგი კ-ს ნარკოტიკული საშუალება საბერძნეთიდან ამანათით, ტანსაცმელში დამალული გამოუგზავნეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 14 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## შსს-მ ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, სხვადასხვა დროს ჩატარებული ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული 5 კილოგრამამდე „ოპიუმი“, 3 კილოგრამამდე „ჰეროინი“, 2500 აბი „სუბუტექსი“ და სხვა ნარკოტიკული საშუალებები გუშინ, შესაბამისი წესით გაანადგურა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველები, სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ.

ნარკოტიკების განადგურების პროცესს შსს-ს თანამშრომლებთან ერთად ჯანდაცვის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

ნიუსპრესი

## მაია ფანჯიკიძე თავის ბრაზილიელ კოლეგას შეხვდა

ბრაზილიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე თავის ბრაზილიელ კოლეგას ანტონიო პატრიოტას შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოსა და ბრაზილიის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებმა, ქვეყნებს შორის ურთიერთობების ფართო სპექტრი განიხილეს. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვაჭრობის, ეკონომიკის, კულტურის და სოფლის მეურნეობის სფეროებში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს. შეხვედრის შემდეგ მინისტრებმა მედიისთვის ერთობლივი პრესკონფერენციაც გამართეს.

„ეს არ იყო ჩემი პირველი შეხვედრა ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ჩვენ სამჯერ მოვახერხეთ შეხვედრა და საქართველოსა და ბრაზილიისათვის საჭირო საკითხებზე საუბარი. ბრაზილიური მხარე დაინტერესებულია ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებით.

საქართველოში სტუმრობის სურვილი გამოთქვა როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, ასევე ბრაზილიის კულტურის მინისტრმა, რომელიც ჩვენს შეხვედრას ესწრებოდა. საერთო ჯამში შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ნაყოფიერი ვიზიტი და დარწმუნებული ვარ, რომ იგი ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებას“ — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მინისტრმა ბრაზილიაში ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე შეხვედრა გამართა. ფანჯიკიძე ბრაზილიის დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტს ანდრე ვარგასს, ბრაზილიის კულტურის მინისტრს და ბრაზილიის საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრებს შეხვდა. ფანჯიკიძე სიტყვით გამოვიდა რიო ბრანკოს საერთაშორისო უნივერსიტეტშიც.

ნიუსპრესი

## ანდრო ბარნოვთან დაგეგმილ შეხვედრაზე გამგებლები არ გამოცხადდნენ

„ქართლის ღვინის ფესტივალის“ ჩატარებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე მოწვეული შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები გუშინ, გუბერნატორ ანდრო ბარნოვთან წინასწარ დაგეგმილ შეხვედრაზე არ გამოცხადნენ.

გუბერნატორის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ ფაქტთან დაკავშირებით, დღესვე, გუბერნატორმა განცხადება გააკეთა. მისი თქმით ოთხი საკრებულოს თავმჯდომარეებისა და სამი გამგებლის მხრიდან, შეხვედრაზე მისვლის სრული მზადყოფნა და დაინტერესება იყო.

„ფაქტია რომ დღევანდელი შეხვედრაზე არავინ მოსულა, რაც ძალიან სამწუხაროა. ცალსახაა, რომ ეს არის ზეწოლა, ისევ ამ ადამიანების მიმართ, რადგან ფაქტია, რომ მათ ქონდათ პროცესში ჩართვის სურვილი და როგორც ჩანს, ეს აუკრძალეს.

ეს პროექტი მაინც განხორციელდება. ვერ წარმომიდგენია ვერანაირი მექანიზმი, რომელიც შეიძლება ამ საქმეს წინ გადაეღობოს“ -განაცხადა ბარნოვმა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის და რეგიონის მეღვინეთა მხარდაჭერის მიზნით, ანდრო ბარნოვი „ქართლის ღვინის ფესტივალის“ ჩატარების ინიციატივით ერთ თვის წინ გამოვიდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაბაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჟაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ჟურნალისტებთან შეხვედრას არასდროს გავურბივარ“

## „ქვეყანაში დანაშაულის 40%-50%-იანი კლებაა“

ნათია ხურცილავა

**კვლავ აქტუალურია აჭარის პოლიციის უფროსის, ვალერიან თელიასა და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დაპირისპირების საკითხი.**

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ აჭარის პოლიციის უფროსის, ვალერიან თელიას სამსახურიდან განთავისუფლებას ით-



ხოვს. თუმცა, საგამოძიებო მოქმედებები ჯერ დასრულებული არ არის, რადგან სწორედ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მოთხოვნით საგამოძიებო მოქმედებებს მთავარი პროკურატურა გააგრძელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კვლავ უწევს იმ კითხვებზე პასუხის გაცემა. ერთ-ერთი ასეთი კითხვა ვალერიან თელიას ნარკოტესტის ჩაბარებას ეხება. რატომ არ აბარებს ნარკოტესტს პოლიციის უფროსი?

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, სამინისტროს ყველა სამმართველოს ხელმძღვანელს, მათ შორის ვალერიან თელიას ნარკოტესტი ჩაბარებული აქვს.

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, მას არ ესმის, თუ რატომ ითხოვენ მისი თანამშრომლებისთვის ნარკოტესტის ჩატარებას.

— როგორ წარმოგიდგენიათ, რომ მე მოვითხოვო საია-ს ან სხვა უწყების თანამშრომლებისთვის ნარკოტესტის ჩატარება. თქვენ კარგად იცით, რომ მე და ჩემმა მოადგილეებმა ნარკოტესტი ჩავაბარეთ. ასე მოიქცა ყველა სამმართველოს ხელმძღვანელი და მათ შორის ვალერიან თელიასაც ნარკოტესტი ჩაბარებული აქვს. მე ძალიან მრცხვენია, რომ უბრალოდ ჭიქაში ქარიშხალი ატეხეს. — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ვალერიან თელიას სამედიცინო დახმარება დასჭირდა და მან სტაციონარს მიმართა.

— გუშინ იყო საუბარი, თითქოს თელიამ რაღაც ნარკოტიკული ნივთიერება მოიხმარა და ამის გამო შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა. ეს არის ტყუილი და სირცხვილი. ის მალე გამოვა საავადმყოფოდან და მუშაობას გააგრძელებს. ვალერიან თელია აჭარის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე 24 საათი ზრუნავს. რაც მოხდა, მოხდა. შესაძლოა, ბევრი რაღაც მეც არ მომეწონა, მაგრამ ის არის პოლიციელი, ატარებს მუნდირს, მაგრამ ის ჩვეულებრივი ადამიანია. თელია თითქმის მესამე მსოფლიო ომის ინიციატორად გამოაცხადეს, მაგრამ ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი მისამართით სხვა პრეტენზიები არ არსებობს და მე ეს მახარებს. — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი ასევე გამოეხმაურა იმ ფაქტს, რომ თელიას არ ჰქონდა მართვის მოწმობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, მართვის მოწმობის არქონის გამო თელია ინციდენტის დღესვე დაჯარიმდა.

— პოლიციელი ჩვეულებრივი ადამიანია. თელიას მართვის მოწმობა არ ჰქონდა და ის სამაგალითოდ დაჯარიმდა. მან ეს ჯარიმა უკვე გადაიხადა. შესაძლოა, მეც დავარღვიო კანონი და ამის გამო მეც დავჯარიმდები, — განუცხადა ჟურნალისტებს ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვალერიან თელია თანამდებობიდან გადააყენეს, სიცრუეს უწოდებს.

ღარიბაშვილის განცხადებით, ვალერიან თელია მალე გამოვა საავადმყოფოდან და მუშაობას გააგრძელებს.

ღარიბაშვილი განმარტავს, რატომ არ გააკეთა კომენტარი ბათუმში აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიასთან სადილობის შემდეგ, სადაც რესტორნის წინ მას ჟურნალისტები ელოდებოდნენ.

ღარიბაშვილი ამბობს, რომ თელიასთან და ბათუმის ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი უკვე გაკეთებული ჰქონდა, დამატებითი განცხადებები კი საჭიროდ არ ჩათვალა. ამასთან, მისი თქმით, მას ჟურნალისტები არ დაუბარებია და არ განუცხადებია, რომ სადილის შემდეგ კომენტარს გააკეთებდა.

მინისტრი ხაზს უსვამს, რომ მედიასთან მაქსიმალურად გახსნილია და ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ თვლის, აკეთებს კომენტარს, რადგან სხვაგვარად უპატივცემულობა იქნებოდა.

— აბსურდულია ბრალდება, თითქოს ბათუმში, როდესაც ჩემს თანამშრომლებთან ერთად რესტორანში ვსადილობდი, ჟურნალისტები მოვიწვიე, ერთი საათი ვალოდინე და შემდეგ სათადარიგო გასასვლელიდან გავედი, არასოდეს ასეთი მიდგომა არ მქონია თქვენ მიმართ. მაქსიმალურად გახსნილი ვარ და თქვენდამი უპატივცემულობა არასდროს გამომიხატავს. უბრალოდ იმ დღეს კომენტარი გავაკეთე და შემდეგ არ ჩავთვალე საჭიროდ კიდევ ერთი კომენტარის გაკეთება, მით უმეტეს, რომ მე არავინ მიმიწვევია. დღეს შეიძლება, სხვაგან ვისადილო, ხვალ სხვაგან და ამას მე ვწყვეტ, როდის გავაკეთო კომენტარი და როდის არა. — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა დანაშაულის პროცენტულ მაჩვენებლებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, ქვეყანაში დანაშაულის 40%-50%-იანი კლებაა.

როგორც ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, 10 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით პრეზენტაციას გამართავს.

— 10 აპრილს დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით ჩვენ პრეზენტაციას გავმართავთ, სადაც თქვენ ყველანი ნახავთ, თუ რა ვითარებაა და რეალურად რა ხდება კრიმინოგენურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. იმ ინფორმაციის ავტორებს, რომლებიც ამბობენ, რომ დანაშაული გაიზარდა, შერცხვებათ, რადგან რეალობას დაინახავენ. ჩვენ დანაშაულის 40%-50%-იანი კლება გვაქვს და ამ ყველაფერს დაწვრილებით 10 აპრილს გაიგებთ, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# სოზარ სუბარი სახალხო დამცველს უპირისპირდება

## რა პრეტენზიები აქვს უჩა ნანუაშვილს

ნათია ხურცილავა

**ყოფილი სახალხო დამცველი და მოქმედი სახალხო დამცველი ერთმანეთს უპირისპირდება. სოზარ სუბარისა და უჩა ნანუაშვილის დაპირისპირების მიზეზი ტუბერკულოზის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობაა. რა ხდება მე-19 დაწესებულებაში? მკურნალობენ თუ არა ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებით? რამდენად რეალურია, რომ ნორმალური საკვები, როგორც ომბუდსმენი წერს, მხოლოდ სტუმრების „საჩვენებლად" მზადდება?**

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ყოველწლიურ 700-გვერდიან მოხსენებაში ერთი თავი სასჯელაღსრულების სიტემას დაუთმო. სწორედ ამ თავში ომბუდსმენმა გარკვეულ დარღვევებზე მიანიშნა და მისი გამოსწორების რეკომენდაცია მისცა სასჯელაღსრულების სამინისტროს.

სოზარ სუბარი უჩა ნანუაშვილის შეფასებას არ ეთანხმება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის მიერ მიცემულ რეკომენდაციას ასე გამოეხმაურა:

— მე არაკვალიფიციური ვუწოდე სახალხო დამცველის იმ შეფასებას, რომელიც მე-19 დაწესებულებას ეხება. ციხეების ნაწილში გაკეთებულ ბევრ შეფასებას არ ვეთანხმები. ნაწილს ვეთანხმები, ვიმეორებ, ნაწილს არა. — განაცხადა სუბარმა.

ომბუდსმენის რეკომენდაცია ძირითადად ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებას ეხება. როგორც მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე აცხადებს, აღნიშნულ დაწესებულებაში მკურნალობა, ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს.

სასჯელაღსრულების მინისტრმა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განსაკუთრებული ყურდღება ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობას, მათ გასასეირნებლად გამოყოფილ ღია სივრცესა და განსაკუთრებულ მენიუს დაუთმო, რომელიც აღნიშნული დაავადების მქონე პირებისთვის არის აუცილებელი.

რაც შეეხება აღნიშნული დაწესებულების დირექტორს, კახაბერ გველესიანს, რომელთან დაკავშირებითაც კრიტიკული შეფასებები აქვს უჩა ნანუაშვილს გაკეთებული, ანგარიშის გამოქვეყნებამდე ორი დღით ადრე გაათავსუფლეს თანამდებობიდან.

უკავშირდება თუ არა კახაბერ გველესიანის თანამდებობიდან გათავისუფლება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, რომელიც დაწესებულებაში არსებული რთული ვითარების შესახებ წერს თავის ანგარიშში, ალბათ რთული სავარაუდო არ არის.

თუმცა, ცნობილია, რომ ამჟამად გველესიანი მუშაობას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კადრების განყოფილებაში აგრძელებს.

სასჯელაღსრულების მინისტრისადმი სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მითითებულია, რომ №19 ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებაში გამოკითხეს მსჯავრდებულები და რეკომენდაციებს, რომლებიც სამინისტროს გადაეგზავნა, 131 მსჯავრდებული აწერს ხელს.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, პატიმრები აცხადებენ, რომ არასათანადოდ ეპყრობიან, არ აქვთ შესაბამისი მკურნალობა, ხოლო დაწესებულების დირექტორი მათ მოთხოვნებზე ცინიკურად და უხეშად რეაგირებს.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის განცხადებით, მისთვის გაუგებარია, რას ეფუძნება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდული დახმარების საკითხთა მინისტრის, სოზარ სუბარის კომენტარი, რომელმაც სახალხო დამცველის რეკომენდაციების იმ ნაწილს, სადაც საუბარი სასჯელაღსრულების სისტემას ეხება, არაპროფესიონალური უწოდა.

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის, ნათია იმნაძის თქმით, კარგი იქნება, თუ მინისტრი თავად გაეცნობა მათ ანგარიშს, რეკომენდაციებს და კომენტარს ისე გააკეთებს.

— ჩვენ არც ველოდებოდით, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს მოეწონებოდა ჩვენი რეკომენდაცია-ანგარიში იმიტომ, რომ ის საკმაოდ კრიტიკულია და აღნიშნავს ბევრ პრობლემას. თუმცა მე ვერ გავიგებ, რას ეფუძნება ბატონი მინისტრის კომენტარი. შესაბამისად, მინისტრს ეს ინფორმაცია თავისმა მრჩეველებმა ან გარემოცვამ მიაწოდა, რომელიც არის მცდარი. კარგი იქნება, თუ მინისტრი თავად გაეცნობა ჩვენს ანგარიშს, რეკომენდაციებს და კომენტარს ისე გააკეთებს. — განაცხადა ნათია იმნაძემ.

როგორც სოზარ სუბარმა ჟურნალისტებს განუცხადა, სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიში არაპროფესიონალურად არის შედგენილი. იგი დოკუმენტის იმ ნაწილს გამოეხმაურა, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემას შეეხება.

— როგორც სახალხო დამცველის ინსტიტუტის, ისე პირადად უჩა ნანუაშვილისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ ანგარიში არაპროფესიონალურად არის შედგენილი, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

მინისტრის განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატს სამინისტროსთან რომ კონსულტაცია გაევლო, ამომწურავ ინფორმაციას მიიღებდა.

სუბარი აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრების რაოდენობა არა თუ გაიზარდა, არამედ 800-900-დან 300-სს ჩასცდა.

სოზარ სუბარის განცხადებით, სახალხო დამცველის ანგარიშის რეკომენდაციებში ნათქვამი იყო, რომ სასჯელაღსრულების მინისტრი მსჯავრდებულებს არ შეხვდა.

თუმცა, სუბარისათვის გაუგებარია, მაშინ, როდესაც ის სიტემატურად ხვდება პატიმრებს და სწორედ მათგან ისმენს იმ პრობლემების შესახებ, რომელთა გამოსწორების პირობაც დადო, რაში სჭირდება სახალხო დამცველს, მსგავსი შეფასება გააკეთოს.

— საინტერესოა, ეს რომელი მუხლის დარღვევაა. პატიმრებს სისტემატურად ვხვდები და რეკომენდაციებში ამის ასახვა არასერიოზულია, — აღნიშნა სოზარ სუბარმა და დასძინა, რომ იგი სახალხო დამცველის ანგარიშის სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაციების არც ერთ მუხლს არ ეთანხმება.

სახალხო დამცველს, სასჯელაღსრულების სამინისტროში გუშინ სპეციალური პრესკონფერენციით გამოეხმაურნენ.



— მინდა, ვუპასუხო სახალხო დამცველის რეკომენდაციას, რომელიც იქნა გამოქვეყნებული სასჯელაღსრულების მე-19 დაწესებულების მიმართ. მე შეგახსენებთ, რომ აღნიშნული დაწესებულება ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრია. პირველ რიგში, მინდა, ზოგადი კომენტარი გავაკეთო. იმ რეფორმების ფონზე, რაც სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარეობს, ეს შეფასებები რეკომენდაციაში მოცემულია არაობიექტურად და აქვე მინდა, ვთქვა, რომ სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემას აქვს უფრო სხვა ტიპის პრობლემები, რომლის შესახებაც ჩვენს ომბუდსმენს ამ ცოტა ხნის წინ გადავუგზავნეთ ინფორმაცია. ეს არის მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური დახმარება, ძალადობის მსხვერპლთა შეზღუდული შესაძლებლობები და მათი დახმარების საკითხები, „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობის პრობლემა სისტემაში, სამედიცინო დოკუმენტაციის და მონაცემთა მართვა და კიდევ არის სხვა პრობლემები, რომელიც ჩვენს სტრატეგიაში ასახულია და შემდეგი თვეების განმავლობაში ვიმუშავებთ. — განაცხადა თალაკვაძემ.

მისივე თქმით, რეკომენდაციაში აღნიშნული ფაქტი, რომ ანტიტუბერკულოზური პრეპარატები აზიანებს სხვადასხვა ორგანოებს და ამ გვერდითი მოვლენების შესაბამისი მედიკამენტები მსჯავრდებულებს არ მიეწოდებათ, სიმართლეს არ შეესაბამება.

— მინდა, ვთქვა, რომ ციხეში მკურნალობის სტანდარტი არის ისეთივე, როგორც სამოქალაქო სექტორში და იქ ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამები ხორციელდება, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ.

მინისტრის მოადგილის თქმით, მე-19 დაწესებულებას ჰყავს ახალი, თანამედროვე ტიპის მენეჯერი, რომელსაც აქვს განათლება ჯანდაცვის მენეჯმენტის სფეროში და ასევე აქვს დამთავრებული ეკონომიკური სკოლა.

— სამედიცინო პერსონალს რაც შეეხება, ადმინისტრაცია მათ საქმიანობაში არ ერევა. რაც შეეხება მედიკამენტებს, ანტიტუბერკულოზურ მედიკამენტებზე მოთხოვნა არის 100 %-ით დაკმაყოფილებული, რაც შეეხება არატუბერკულოზურ მედიკამენტებს, 2012-2013 წლების ბოლო 5 თვეში მედიკამენტების დანახარჯმა მოიმატა 26 ლარიდან 49 ლარამდე ერთ მსჯავრდებულზე. — აღნიშნა თალაკვაძემ და დასძინა, რომ სისტემაში კვების ხარისხი გაუმჯობესდა.

## ზაზა გაბუნია: „19 აპრილისთვის მერიის და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების მონიტორინგს ითხოვს“

თბილისის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, 19 აპრილის აქციისთვის, თბილისის მერიისა და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების თანამშრომელთა მასშტაბური მობილიზების პროცესი მიმდინარეობს. დეპუტატის განცხადებით, არის შემთხვევები, როცა აქციაზე წასვლაზე უარის თქმის შემთხვევაში, დასაქმებულებს სამსახურებიდან გათავისუფლებით ემუქრებიან.

,,იმისათვის, რომ 19 აპრილის აქციისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არ მოხდეს და რომ გამოვლინდეს ყველა ის ფაქტი, რომლითაც მერიის და მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების თანამშრომლებზე ზეწოლის ფაქტები დადასტურდება, მე არასამთავრობო ორგანიზაციებს ვთხოვ, რომ პროცესებზე, 19 აპრილამდე და უშუალოდ დემონსტრაციის დღესაც, მკაცრი კონტროლი აწარმოონ“ — განაცხადა გაბუნიამ.

ფრაქციის თავმჯდომარე ამ თხოვნით ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციას მიმართავს, რომლებიც თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობენ.

ნიუსპრესი

## ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი თავდაცვის სამინისტროს გამოეყოფა და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება. ამის შესახებ მთავრობის გუშინ გამართულ სხდომაზე იმსჯელეს.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინეს ნატო-ს წევრი ქვეყნების გამოცდილება, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დარგის ექსპერტების რეკომენდაციები.

მისი თქმით, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი წოდებით უფრო მაღალი, ცალკე სტრუქტურა უნდა იყოს. ეს, ერთი მხრივ, მის მნიშვნელობას გაუსვამს ხაზს. მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდება მისთვის მეტი დახმარების გაწევა და ასევე საერთაშორისო დახმარების მოპოვება.

„ვფიქრობთ, მსგავსი გადაწყვეტილება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისათვის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნება“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

მედიანიუსი

# კალაძე საქართველოს ჰესებად ქცევას უპირებს?

## ნაციონალები ენერგეტიკის მინისტრს მადლობას უხდიან

შორენა მარსაგიშვილი

**ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ნაციონალებსაც მინისტრების დაბარების მადა გაუძლიერდათ. წინა კვირებში მათ რამდენიმე მინისტრს მოუსმინეს, გუშინ კი ენერგეტიკის მინისტრი ჰყავდათ დაბარებული. ენერგეტიკის მინისტრმა და, იმავდროულად, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ დეპუტატების მოთხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და ქუთაისში ჩავიდა.**



იყო დრო, როცა კალაძე და ნაციონალები ერთ გუნდს წარმოადგენდნენ და ერთმანეთის მზეს ფიცულობდნენ. მერე მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ ძალიან დაეძაბათ ურთიერთობა, არჩევნების წინ კი ლამის ომი გამოუცხადეს ერთმანეთს. გორის რაიონის სოფელ კარალეთში მომხდარი ინციდენტი ყველას გვახსოვს. იმ ამბების ერთ-ერთი მთავარი გმირი კალაძე იყო.

არჩევნების შემდეგ მათ შორის ვითარება დარეგულირდა. ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შემდეგ კალაძეს ნაციონალები დაუტკბნენ. როგორც ამბობენ, მისი ერთ-ერთი მოადგილე ვანო მერაბიშვილის ნაფერები კომპანია „ნიუ ენერჯის" ყოფილი ტექნიკური დირექტორია.

ნაციონალებისა და კალაძის კოჰაბიტაცია ყველაზე უკეთ ჰესების ამბავში გამოჩნდა. ამ თემაზე ქართული მედია საკმაოდ ხშირად საუბრობს. ყაზბეგის რაიონში რამდენიმე ჰესი შენდება. ამ ჰესების მაშენებლები ნაციონალების დამფინანსებლები არიან. ამბობენ, რომ ამ საქმის უკან ვანო მერაბიშვილი იდგა. სხვათა შორის, ვანო ხშირად აკითხავდა ამ მშენებლობას. ახლა ჰესის მაშენებლებს კალაძე აკითხავს და საეჭვო დაპირებებს აძლევს.

ყველამ ვიცით, რომ მარტის დასაწყისში გარემოს დაცვის სამინისტრომ ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის აშენებაზე უარყოფითი დასკვნა დადო. დასკვნის გაცემიდან რამდენიმე ხანში კალაძე ყაზბეგში ჩავიდა და მეჰესეებს შეხვდა. პირობა მისცა, რომ ჰესის მშენებლობა გაგრძელდებოდა. საინტერესოა ის დეტალი, რომ ვიცე-პრემიერი არც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვედრია და არც ადგილობრივ ხელისუფლებას, რამაც საკმაოდ დიდი ეჭვები გააჩინა.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ის გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაში დაადანაშაულა. კალაძე გაუთავებლად გაიძახის, რომ გარემოს დამცველების მიერ დაწუნებული ჰესის მშენებლობა აუცილებლად დაიწყება. ეს განცხადება ვიცე-პრემიერმა გუშინაც გაიმეორა.

კახა კალაძის განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო „ყაზბეგი ჰესის" მშენებელი კომპანიის მიერ გზშ ანგარიშის ხელახლა წარდგენის შემდეგ დადებით დასკვნას დადებს. კალაძის თქმით, ეს საქართველოს ენერგეტიკული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— ყაზბეგი ჰესის მშენებლობა შეჩერებულია მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, რომ ინვესტორმა, რომელმაც შეიტანა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი გარემოს დაცვის სამინისტროში, ის მოთხოვნები, რა მოთხოვნებიც იყო გარემოს დაცვის სამინისტროდან, არ დააკმაყოფილა. ეს ნორმალური პროცესია, სამუშაო პროცესია და მიმდინარეობს. ინვესტორი თავიდან გააკეთებს ამ დოკუმენტს და შეიტანს იმ შენიშვნების ჩასწორებით, რომელიც იყო და, დარწმუნებული ვარ, მიიღებს ამ დოკუმენტის დადებით შეფასებას, ჩვეულებრივ მიიღებს მშენებლობის ნებართვას და დაიწყება მშენებლობა. ზოგადად, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ამ პროცესის განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან დიდი რესურსები გააჩნია საქართველოს, რომ გახდეს ექსპორტიორი ქვეყანა და არ ვიყოთ დამოკიდებული რომელიმე მეზობელ ქვეყანაზე ელექტროენერგიის კუთხით, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

კახი კალაძის განცხადება, რომ „ყაზბეგი ჰესის" მშენებლობაზე დადებითი დასკვნის გაცემაში დარწმუნებულია, არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლად შეაფასეს. მათი თქმით, სხვა შემთხვევაში შეუძლებელია, ენერგეტიკის მინისტრი „დარწმუნებული იყოს", მომავალში გარემოს დაცვის სამინისტრო დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას გასცემს თუ არა.

„ყაზბეგი ჰესის" მშენებლობა ხდის ხეობაში, მდინარე ბროლისწყალზეა დაგეგმილი. გარემოსდამცველების შეფასებით, აღნიშნული ჰესის მშენებლობა ხეობის უნიკალურ ფლორასა და ფაუნაზე უარყოფითად იმოქმედებს, ჰესი კი, წყლის სიმცირის გამო, უმნიშვნელო რაოდენობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

როგორც ჩანს, კახა კალაძეს რაღაც დაინტერესება აქვს ამ ჰესებთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ საქმეში ასე მონდომებით არ ჩაერთვებოდა. ეტყობა, ვიცე-პრემიერს სურს, საქართველო ერთ დიდ ჰესად იქცეს. გარემოს რა მოუვა, ეს საერთოდ არ აინტერესებს.

გარემოს რომ ჰესები გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს, ეს არც ნაციონალებს ადარდებთ და ამიტომაც მათ ერთი კითხვაც არ დაუსვამთ ენერგეტიკის მამისთვის.

კალაძის პარლამენტში მისვლამდე ცოტა ხნით ადრე ქუთაისში დენი გამოირთო. ამან ნაციონალები ძალიან გაახარა და გაიძახოდნენ, ენერგეტიკოსებმა თავიანთ მინისტრს ავტოგოლი გაუტანესო.

ის 2 მამაპაპური ავტოგოლი ვიცე-პრემიერთან შეხვედრისას ნაცმოძს აღარ გახსენებია. სამაგიეროდ, მადლობის თქმა არ დავიწყებიათ კალაძისთვის. მინისტრის განცხადებით, გაზის ხარისხთან დაკავშირებულ კითხვებს სემეკ-მა უნდა უპასუხოს და პრობლემის გადაჭრაზე იმუშაოს.

— გაზის ხარისხთან დაკავშირებული კითხვები დღეს არ გაჩენილა. წლების განმავლობაში იყო საუბარი იმაზე, რომ თითქოს გაზის მილსადენებთან ვიღაც იჯდა და რაღაც მინარევებს ურევდა, რაც საბოლოოდ გაზის ხარისხზე ახდენდა ზემოქმედებას. ახსნა ამისა არის ის, რომ გარკვეული დროის განმავლობაში აზერბაიჯანულ მხარეს აქვს პრობლემები იმ მილსადენზე, რომლითაც ჩვენ ვიღებთ გაზს. როდესაც წნევა ვარდება და, მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ავარიულ მდგომარეობაში აქვთ მილსადენი, საიდანაც გაზს ვიღებთ, იმ დროს ხდება გაზის წნევის ვარდნა და იმ სიმხურვალით, რითაც უნდა მოდიოდეს, მოსახლეობას არ მიეწოდება, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს. მე მესმის ეს ყველაფერი. წლების განმავლობაში საზოგადოებაში მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ გაზი არის უხარისხო და, ხშირ შემთხვევაში, როცა 10 წუთია საჭირო, 25 წუთი სჭირდება. ამ პრობლემის გადაჭრაზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ უნდა იმუშაოს, რომელიც, ფაქტობრივად, დღეს არ არსებობს. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ქმედითი სემეკი გვქონდეს. ამისთვის საჭიროა ძლიერი კომისიის შექმნა და იმ ფუნქციების დაბრუნება, რაც რეალურად გააჩნია და არა ის, რომ მისი თავმჯდომარე რესტორნებში დადის და თან, როგორც გავიგე, ცუდი სიმთვრალე ჰქონია და შუქებს რთავს რესტორნებში. ეს არაა ლამაზი, — აღნიშნა ხუმრობით კალაძემ.

გაზის ხარისხის გაუმჯობესების გარდა, მინისტრმა გაზის ტარიფის გათანაბრებაზეც ისაუბრა. საქართველოს რეგიონებში ბუნებრივ აირს სხვადასხვა ფასი აქვს. კალაძის განცხადებით, სამინისტრო მთელი ქვეყნის მასშტაბით გაზის ტარიფის გათანაბრებაზე მუშაობს.

— მოსახლეობაში ბუნებრივ აირთან მიმართებით უკმაყოფილებას იწვევს გაზის დივერსიფიცირებული ფასები. არსებობს რეგიონები, სადაც გაზის ტარიფი დედაქალაქში არსებული ტარიფისგან განსხვავებულია. კერძოდ, 2008 წლის შემდეგ ქსელში ჩართულებისთვის ტარიფი უფრო ძვირია, ვიდრე 2008 წლამდე ჩართულებისთვის, რაც, ჩემი აზრით, დისკრიმინაციული მიდგომაა და ამ საკითხზე ვმუშაობთ, რათა ტარიფი დავაბალანსოთ და თანაბარი იყოს მთელ ქვეყანაში, — განაცხადა კალაძემ.

ნაციონალებს კითხვები საწვავის გაიაფებაზეც ჰქონდათ. არჩევნების წინ მეოცნებეები ამტკიცებდნენ, რომ ნაციონალებს საწვავის ფასიდან 1 ლარი მიჰქონდათ. არჩევნების შემდეგ საწვავი არ გაიაფებულა.

კალაძის მტკიცებით, გაიაფება დაწყებულია. მინისტრი ამბობს, რომ საწვავზე ფასმა 10-15 თეთრით დაიკლო.

დეპუტატ წერეთელს აინტერესებდა, რა საკადრო პოლიტიკას ახორციელებს კალაძე თავის სამინისტროში. რამდენიმე მინისტრმა ძველი კადრები სულ დაიფრინა, კალაძე კი ძველ კადრებს, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, ნაციონალები არიან, არ შეხებია.

— მე შემიძლია ნამდვილად ვიამაყო იმით, რომ ენერგეტიკის სფერო არის ერთ-ერთი, საიდანაც ჩემი მისვლის შემდეგ ერთ თანამშრომელიც არ წასულა სამინისტროდან. რაც შეეხება კერძო კომპანიებს — ეს კომპანიის გადაწყვეტილებაა, მიიღებს თუ შეამცირებს თანამშრომლებს. გლობალურ გაშვებებთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. თუ თქვენ გაქვთ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები, შეგიძლიათ მომაწოდოთ და მე აუცილებლად დავარეგულირებ ამ ყველაფერს, — აღნიშნა მინისტრმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილმა მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა კადრების შენარჩუნების გამო კახა კალაძეს მადლობა გადაუხდა.

— სამწუხაროდ, ბევრმა თქვენმა კოლეგამ ეს ვერ მოახერხა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა გულწრფელად. ეს დასაფასებელია დღევანდელ დღეს, — აღნიშნა ნიკოლაიშვილმა.

# ახმედ ზაკაევი: „სააკაშვილის გარემოცვა ჩეჩენ მებრძოლებს ამზადებდა"

შორენა მარსაგიშვილი

რუსული მედია ხშირად წერდა, რომ საქართველო ტერორისტებს ამზადებდა. ბოლო ხანებში მათ ეს თემა მიავიწყდათ. სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის სკანდალურმა განცხადებამ მათ ახალი საწერი მასალა გაუჩინა.

ამ თემას რუსული გამოცემა „მოსკოვსკი კომსომოლეცი" გამოეხმაურა. გამოცემა წერს, რომ საქართველოში კვლავ განიხილავენ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ უცნაურ სპეცოპერაციას, რომლის შედეგადაც სამი ქართველი სპეცრაზმელი და 11 ჩრდილოკავკასიელი ბოევიკი დაიღუპა. ზემოხსენებული ოპერაცია გასული წლის აგვისტოში ჩატარდა და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქართულმა მხარემ რუსეთიდან საქართველოში შეჭრილი დივერსანტების ჯგუფი გაანადგურა.

— ახლა კი საქართველოს სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს მოჰყავს ფაქტები, რომლის საფუძველზეც, შესაძლოა, საქართველოს შს უწყების ექსმაღალჩინოსნები საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ. ნანუაშვილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ჩამოყალიბების რეკომენდაციას იძლევა და აღნიშნული სპეცოპერაციის გამოძიებას მოითხოვს. კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით ნანუაშვილი აცხადებს, რომ 2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოს შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების მიწვევით საქართველოში ევროპიდან 120-მდე ჩრდილოკავკასიელი ახალგაზრდა (ძირითადად ჩეჩნები) ჩავიდა. საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მომზადების კურსების გავლის შემდეგ ისინი საქართველოს შს სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე ჩეჩნეთში უნდა გადასულიყვნენ, სადაც რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები უნდა ეწარმოებინათ, თუმცა, როგორც ირკვევა, თბილისის გეგმები შეიცვალა და საქართველოს ძალოვნებმა შეიარაღებული ჯგუფის რუსეთში გაგზავნა მიზანშეუწონლად ჩათვალეს. მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა ჯგუფმა იარაღის დაყრაზე თანხმობა არ განაცხადა, ისინი გაანადგურეს, — წერს გაზეთი.

გამოცემის თქმით, ეს ვერსია ახალი არ არის, რადგან ამის შესახებ საქართველოში რამდენიმე თვის განმავლობაში ლაპარაკობდნენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და ჟურნალისტები, თუმცა ამჟამად ეს ინფორმაცია ისეთმა ავტორიტეტულმა თანამდებობის პირმა გაახმაურა, როგორიც ომბუდსმენია.

— სინამდვილეში, საქართველოში „ჩეჩნური საკითხი" პირველად არ გამძაფრებულა. ნამდვილად არსებობდა თუ არა იქ ბაზები ტერორისტების მოსამზადებლად, რაში შეცდა პატრუშევი და როგორ იჭერდნენ პანკისის ხეობაში „ალ-ქაიდას" ემისრებს — ამის შესახებ ჩვენს მომდევნო ნომრებში წაიკითხავთ, — წერს „მოსკოვსკი კომსომოლეცი".

ნანუაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში რამდენიმე კონკრეტული ექსმაღალჩინოსნის სახელი და გვარი ფიგურირებს, რომლებიც, ომბუდსმენის მტკიცებით, ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების საქართველოში ჩამოყვანის საკითხს კურირებდნენ. მათ შორის არის შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე. ამ უკანასკნელმა ნანუაშვილის განცხადებას აბსურდი და ცილისწამება უწოდა, ხოლო შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ომბუდსმენის განცხადება „იდიოტურად და ანტისახელმწიფოებრივად" მონათლა. მისი თქმით, საქართველოში ტერორისტული ბაზების არსებობის შესახებ გამუდმებით საუბრობდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი და ახლა ეს ბრალდება საქართველოს ოფიციალურმა პირმაც გაიმეორა. ნანუაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გააკეთა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. მისი თქმით, ამ საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს და რაიმე სახის განცხადების გაკეთება მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

ნანუაშვილის განცხადებას თავდაცვის ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინიც გამოეხმაურა. ნამინისტრალის თქმით, ის თავად იმყოფებოდა მოვლენების ეპიცენტრში და ლაფანყურის სპეცოპერაციის მიმდინარეობას აკვირდებოდა.

— ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს მე ვიყავი თავდაცვის მინისტრი და ვიმყოფებოდი სპეცოპერაციის ადგილზე. ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი. ეს იყო მძიმე მომენტი ჩვენი და ჩეჩნების ურთიერთობაში. თავდაცვის სამინისტრომ დაკარგა რამდენიმე ჯარისკაცი და სამხედრო ექიმი. მე მინდა, კიდევ ერთხელ სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს. თავდაცვის სამინისტრო ოპერაციაში ჩაერთო უკვე საღამოს. მე თელავში ჩავედი დაახლოებით 12:00 საათისთვის. თვითონ სპეცოპერაცია ორი-სამი საათისთვის დაიწყო. ოპერაციას ატარებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის უწყება მას ეხმარებოდა ავიაციითა და ევაკუაციის გეგმით. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ასევე თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმები. მე ჩემი თვალით მაქვს ნანახი საბუთები და იარაღი, ასევე გარდაცვლილთა ცხედრები, ასევე ჩემი თვალით ვნახე მათი პასპორტები. მე ვესაუბრე სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლებს. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ასეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან არ გვქონდა შეხება 2008 წელსაც კი. ჩვენ ვცდილობდით, თავიდან აგვერიდებინა ეს კონფლიქტი, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. როგორც თავდაცვის მინისტრი, ვიღებდი ინფორმაციას სამხედრო დაზვერვისგან, რომ სპეცოპერაციის მიმდინარეობისას რუსეთის საზღვრის მონაკვეთზე მობილიზებული იყო რამდენიმე ბატალიონი. რუსეთის ვერტმფრენები დაფრინავდნენ ჩვენი საზღვრის ხაზზე. ეს ყველაფერი რადარებზე ფიქსირდებოდა. დაზვერვის სამსახურის მონაცემებით, რუსეთის შეიარაღებული ძალები იმყოფებოდნენ იმ მონაკვეთზე. აქედან გამომდინარე, საუბარი იმაზე, რომ ქართულმა მხარემ ვინმე ჩამოიყვანა შეგნებულად, სრული სისულელეა. თუ სპეცოპერაცია იყო დადგმული, ყველაფერი მოხდებოდა სხვა ტერიტორიაზე. ლოპოტას ხეობაში ამ ოპერაციის ჩატარება დიდი სირთულე იყო, — განაცხადა შაშკინმა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი სახალხო დამცველი ანგარიშსაც ეხმაურება და აცხადებს, რომ უჩა ნანუაშვილის ანგარიშით გაკვირვებულია.

— მე ძალიან გაოცებული დავრჩი სახალხო დამცველის დასკვნით. არ ვიცი, რა ზღაპარზე შეიძლება იყოს აგებული ასეთი დასკვნა. არანაირი კრიტიკულ აზროვნების ჩარჩოებში ეს დასკვნა არ შედის. შს მინისტრის მაშინდელმა მოადგილე გია ლორთქიფანიძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ლაფანყურში სისხლისღვრა არ მომხდარიყო, — განაცხადა შაშკინმა.

ამ თემაზე კომენტარი ჩეჩნეთის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა ახმედ ზაკაევმაც გააკეთა.

— მიხეილ სააკაშვილის გარემოცვა საქართველოში ჩაყვანილი ჩეჩნების დაღესტნის ტერიტორიაზე გადასხმას აპირებდა, — ამის შესახებ „პირველი რადიოსთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში იჩქერიის დევნილი მთავრობის წევრმა ახმედ ზაკაევმა განაცხადა.



მისი თქმით, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია ლაფანყურის ინციდენტთან დაკავშირებით მათ მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგებს ემთხვევა.

როგორც ზაკაევი განმარტავს, ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, იჩქერიის დევნილმა მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა და გამოძიება დაიწყო. აღნიშნულმა კომისიამ მუშაობა თითქმის დაასრულა და, როგორც ზაკაევი აცხადებს, ის სულ მალე გახდება საჯარო.

რაც შეეხება დეტალებს, ზაკაევი აცხადებს, რომ არ სურს მოვლენებს გაასწროს და დასკვნის განსაჯაროებამდე დეტალებზე ისაუბროს.

— თუმცა, იმის თქმა შემიძლია, რომ სააკაშვილის გარემოცვის ხალხს საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩნები ჩაჰყავდა, გარკვეულ ჯგუფებს გარკვეულ ვადაში ამზადებდა და ეს ხალხი, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეთანხმებით, დაღესტანის ტერიტორიაზე უნდა გადაესხათ, — განაცხადა ახმედ ზაკაევმა.

# სექტების აქტიურობამ საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია

შორენა გონგლაძე



ევრაზიის ინსტიტუტის ინიციატივით, საქართველოში არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობასთან დაკავშირებით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე — „ახალი რელიგიური მიმდინარეობები საქართველოში: რელიგია თუ პოლიტიკა“.

კონფერენციას პოლიტოლოგები, თეოლოგები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე იოანე (გამრეკელი) ესწრებოდნენ. მეუფე იოანე გამრეკელის თქმით, სანამ ადამიანი რომელიმე რელიგიურ მიმდინარეობაზე არჩევანს გააკეთებს, უნდა დაფიქრდეს და შეისწავლოს მისი საფიუძვლები.

„თითოეული ახალი მოძრაობის ფუძემდებლები არიან ჩვენი დროის ადამიანები, რომლებიც ამ დროის ინტერესებით არიან შეზღუდულნი. მათ მიერ შემოთავაზებული მოძრაობები არის წარმავალი დროით ნაკარნახევი სწავლებანი“, — აღნიშნა მეუფე იაონემ.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, გულბაათ რცხილაძე აცხადებს, რომ საქართველო გახდა ერთგვარი პლაცდარმი მეზობელი ქვეყნების მოსამარაგებლად სხვადასხვა რელიგიური ლიტერატურით. მისი თქმით, როდესაც საქართველოში ჩამოდის ირანელი მოქალაქე, მასთან მიდიან ადამიანები ლიტერატურითა და ბროშურებით. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს აღშფოთებთ. აღნიშნული ლიტერატურა შედის აზერბაიჯანში, სომხეთში, შუა აზიაში და ა.შ. მისივე თქმით, ჩვენს მეზობელ ქვეყნებს ეს აშფოთებთ, ამიტომ, ეს ყველაფერი დასალაგებელი და მისახედია. რცხილაძემ არ გამორიცხავს, რომ არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობაში შესაძლოა უცხო ქვეყნების სპეცსასამხურების კვალიც იკვეთებოდეს.

— ეს ღონისძიება ეხება საქართველოში არატრადიციული სექტების საქმიანობას. რა არის მათი საქმიანობის ძირითადი მიმართლებები. მათი საქმიანობა სცდება საქართველოს ფარგლებს. საქართველო გახდა პლაცდარმი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მოსამარაგებლად რელიგიური ლიტერატურით და არა მარტო ამით. აქ სპეცსამსახურების მუშაობაც იკვეთება, რაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებს აშფოთებს და აქედან გამომდინარე, ეს საკითხი უნდა დაისვას საქართველოში და მოხდეს მისი განხილვა. როდესაც ამ ყველაფერს აქვს მასობრივი ხასიათი, ამ შემთხვევაში ეს არის საფრთხის შემცველი იმ თვალსაზრისით, რომ ეს ყველაფერი ურთიერთობებს გააფუჭებს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან. აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის და ასე შემდეგ, მათი ინტერესები გარკვეულწილად ზარალდება. ფაქტია, რომ ეს პრობლემა არსებობს და ამის არდანახვა ნამდვილად არ შეიძლება. — აცხადებს გულბაათ რცხილაძე.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— მე მახსოვს ის პერიოდი, როდესაც დაიწყო საქართველოში რელიგიური სექტების შემოსვლა და ჩვენი უწმინდესის შეშფოთება ამასთან დაკავშირებით. მაშინ მე გახლდით საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი, მოგეხსენებათ, ეს შემოსვლის პროცედურა იმდენად მძლავრი და იმდენად კარგად იყო ფინანსურად უზრუნველყოფილი, რომ მას არათუ მე და ჩემი რამდენიმე თანამშრომელი, არამედ მთელი საქართველო რომ დადგომოდა წინ, ვერ შეაკავებდა იმ ტალღას. სამწუხაროდ, დღესაც ანალოგიური გრძელდება და საქართველო გადაიქცა იმ არენად სადაც, ბევრი რამ იგეგმება ძალიან ცუდი და არავინ არ ვიცით, რა ხდება ჩვენს ტერიტორიაზე. უვიზო მიმოსვლა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამას აქვს თავისი პრობლემები, რომელიც არ გამორიცხავს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეცსამსახურების უაღრესად დაჟინებულ და კარგ მუშაობას. სამწუხაროდ, როდესაც თვითონ ხელისუფლება უწყობს წლების განმავლობაში ასეთ შემოსვლას ხელს, მაშინ ცხადია, არავითარ საწინააღმდეგო მოქმედებას არა აქვს ადგილი და პირიქით, ამას ჰქვია ხელის შეწყობა. საქართველოს ტერიტორია გამოიყენება ძალიან ცუდი საქმეებისათვის. ვინ დგას ამ ორგანიზაციების უკან, ისინი ვილაცისგან ფინანსდება, ყველამ კარგად ვიცით, რომ მას აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატები. როდესაც მან ეს ტერიტორია ამოარჩია ვილაცის საწინააღმდეგოდ, ეს არის ძალიან სერიოზულად დასაფიქრებელი რამ. მინდა ამონარიდი წაგიკითხოთ გასული წლის სექტემბერში გამოცემული წიგნიდან „ჯიჰადი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში“. ეს წიგნი შედგენილია ამერიკის სამხედრო სტრატეგიული კვლევათა ინსტიტუტის მონაცემთა მიხედვით, ერთ-ერთი პროფესორი გახლავთ გორდონ ჰანი და მეორე არის საშინაო საქმეთა კომიტეტის ანალიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი ჯეიმს ჯაბრასი. აი, რა წერია ამ წიგნში „2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ სპეკულაციური თამაში წამოიწყო რეგიონში და როგორც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, ასევე სოჭის ოლიმპიადის გარშემო არაერთი შემაშფოთებელი ნაბიჯი გადადგეს. 2009 წლის დეკემბერში, თბილისში ისლამური ჯიჰადის წრეების მრავალრიცხოვან წარმომადგენლობას მასპინძლობდა. ამ შეხვედრაზე როგორც ჩრდილო კავკასიელი, ისე ახლო აღმოსავლეთიდან, ექსტრემისტული დაჯგუფებების ლიდერები ევროპული ქვეყნებიდან ისლამის დაჯგუფებების წევრები და მასპინძლები ესწრებოდნენ, მასპინძლები, რომლებიც ამავდროულად საიდუმლო შეხვედრის ინიციატორები არიან. აღმოსავლერთ ქვეყნებიდან ჯიჰადის ექსტრემისტთა საქართველოში ჩამოფრენის საკითხს ქუვეიტში საქართველოს ელჩი ვინმე მიქაძე აწესრიგებდა. სააკაშვილი შეხვედრას არ დასწრებია, მაგრამ შეხვედრას ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლორთქიფანიძე. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ჩრდილო კავკასიის ჯიჰადის, ალქაიდას და საერთაშორისო ისლამური წრეების პროპაგანდისა და იდეოლოგიური ომის საწარმოებლად უნდა შექმნილიყო ახალი სატელევიზიო არხი და სწორედ იმ პერიოდში ამუშავდა პირველი კავკასიური არხი. ამ წიგნში ასევე აღნიშნულია, თუ რამდენად არის გამოყენებული რელიგია იმ ბინძური საქმეების კეთებაში, რასაც ჰქვია პოლიტიკა. ეს ყველაფერი უპირველესად მიმართულია ისლამური ირანის, ერაყის, სირიის წინააღმდეგ. ამ ყველაფერს სჭირდება ფხიზელი თვალი და უნდა ვთქვათ, თუ ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, ამის უკან დგას ამერიკის შეერთებული შტატები.

**დათო გელაშვილი, კონფერენციის მონაწილე:**

— ბოლო წლების მანძილზე სექტების აქტიურობამ საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია. ისინი იყენებენ ქართულ სტუმართმოყვარეობას, ტოლერანტობას და ცდილობენ ქართველ საზოგადოებაში ცენტრალური ადგილების დაკავებას. 90-იან წლებში, ტოტალიტარულმა სექტებმა აგრესიული მისიონერობით დაიწყეს შემოსვლა, მათ ამ საქმიანობაში ხელი შეუწყო საელჩოებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი „თავისუფლების ინსტიტუტმა! და სოროსის ფონდმა. საკმაოდ აქტიურობდა ე.წ. „ხსნის არმიაც“ რომელთა თქმით, მათ დააპურეს მშიერი მოსახლეობა და სულიერ გზაზე დააყენეს ქვეყანა. სექტის ე.წ. სულიერი ლიდერები თავიანთ ქადაგებებში ბიბლიიდან ამოღებული, ჭეშმარიტ მნიშვნელობას დაცილებული ფრაზებით ხელმძღვანელობენ, რასაც მისიონერობას ეძახიან. სექტანტი მისიონერების მოღვაწეობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახლავთ მათი ქველმოქმედება რაც, მათ მიმართ დადებით ემოციებს იწვევს, ქველმოქმედება მათ საქმიანობაში ერთადერთი დადებითი მომენტია მაგრამ არცთუ უანგარო. ბოლო წლებში, სექტების მოღვაწეობაში შეიმჩნევა საკმაოდ საშიში ტენდენცია, რაც საბოლოოდ იწვევს სულიერად დეგრადირებული საზოგადოების მიღებას, ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში საშიშია მთლიანად ქვეყნისთვის.

**შოთა აფხაიძე, კონფერენციის მონაწილე:**

— ის მოვლენები, რაც ჩემი და ჩემი მეგობრების გარშემო განვითარდა, ეს იყო რელიგიის პოლიტიზაცია. სააკაშვილის რეჟიმი თითქოს მიიღწვოდა ლიბერალური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მაგრამ, ეს ყველაფერი იყო ფარსი და ეს გამოჩნდა იქიდანაც, რომ კონკრეტული საკითხების დარეგულირებას არ ცდილობენ, ისინი მხოლოდ ამ თემებით სპეკულირებენ. ჩვენ კონსტიტუციით გვქონდა მონიჭებული, რომ დაგვეფიქსირებინა ჩვენი პროტესტი ჩვენი რელიგიის შეურაცხყოფისთვის. ჩვენი პროტესტის დაფიქსირება კი დასავლეთის თვალში გამოყენებულ იქნა ისე, თითქოსდა, საქართველოში ყალიბდებოდა ალქაიდას ტიპის ორგანიზაციები და ჩვენი პროტესტით სხვა რელიგიური მიმდინარეობების უფლებებს ვზღუდავდით, რაც არის სრული აბსურდი. ნებისმიერ აღმსარებელს აქვს უფლება დაიცვას თავისი მრწამსი.

# მაგთის კონკურსის – „მიყვარხარ, დე“ გამარჯვებულები პარიზის დისნეილენდში გაემგზავრებიან

*გუშინ მაგთიკომის ოფისი რუსთაველზე ბავშვების საზეიმო სახლს ჰგავდა. „მაგთის“ ფეისბუქ კონკურსი „მიყვარხარ დე“ დასრულდა. კონკურსის გამარჯვებულები დისნეილენდის სანახავად პარიზში გაემგზავრებიან. გამარჯვებულთა დაჯილდოვებისას ძნელი გასარკვევი იყო, მშობლებს უფრო უხაროდათ საზეიმოდ გადაცემული პრიზი, თუ პატარებს. აღსანიშნავია, რომ „მაგთი“ მომხმარებელს საჩუქრებითა და უცხო ქვეყნების საგზურებით ხშირად ანებივრებს.*

*ამჯერად პარიზს - ყველაზე რეიტინგული ნახატისა და ვიდეოს გამარჯვებულები - თინათინ ხარაიშვილი და ათუკა გიორგაძე, ასევე „მაგთის“ რჩეულები ნინო გეგეშიძე (ნახატი) და ლევან გიორგაძე (ვიდეო) მშობლებთან ერთად მოინახულებენ.*




„მაგთიკომმა“ კონკურსი - „მიყვარხარ“ დე, დედის დღესთან დაკავშირებით 1-ლი მარტიდან 31 მარტის ჩათვლით გამოაცხადა. ნებისმიერ მსურველს შეეძლო „ფეისბუქ-ის“ „მაგთიფანის“ გვერდზე დედისადმი მიძღვნილი საკუთარი ვიდეო ან ნახატი დაედო და დისნეილენდში წასასვლელად ბედი გამოეცადა. ერთი ვიდეო და ერთი ნახატი გამოვლინდა „ლაიქებით“, ხოლო თითოთითო გამარჯვებული „მაგთიკომის“ სიმპათია გახდა. ოთხივე გამარჯვებულს პარიზის დისნეილენდის საგზური გადაეცა. ძალიან კარგი ნახატები იყო. განსაკუთრებული ემოცია გამოიწვიეს „მაგთის“ სიმპათიის პრიზის ავტორებმა - ნინო გეგეშიძემ, რომელმაც „დედა-შვილი სახლები“ დაგვიხატა და ლევან გიორგაძემ, რომელმაც ვიდეო ნათლიას მიუძღვნა, რადგან მას დედა შეუცვალა. ჩვენ ყოველთვის ვახალისებთ ჩვენს მომხმარებელს მსგავსი კონკურსებით. არაერთი ადამიანისთვის გადაგვიცია საჩუქრები და გაგვიშვია სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ“, **- ამბობს მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი.**

მაგთიკომის რჩეულებს კომპანიის წარმომადგენლებმა ხელოვნების სკოლასა და საბავშვო ბაღში მიაკითხეს და კონკურსში გამარჯვების სიხარულიც იქ შეატყობინეს.

ლევანმა თავის ნათლიას, მიულოცა დედის დღე: „მას დედა არა ჰყავს და ჩვილ ბავშვთა სახლში იზრდებოდა. 3 თვეა ჩემთან, სახლში წამოვიყვანე, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, დედას მეძახის და ვერც ვგრძნობ, რომ ჩემი საკუთარი შვილი არ არის. როდესაც კონკურსის შესახებ შევიტყვეთ ვიდეო მილოცვა გავაკეთეთ და facebook-ის „მაგთიკომის“ გვერდზე დავდეთ. სიმართლე გითხრათ, არც მოველოდით გამარჯვებას. ძალიან მიხარია, რომ ლევანიკო დისნეილენდს ნახავს და როდესაც გაიზრდება ბავშვობიდან ტკბილი მოგონებები გამოჰყვება“, - ამბობს ლევანის ნათლია ნინო ვარადაშვილი.

„მაგთის“ კიდევ ერთი სიმპათია ნინო გეგეშიძე, დიდ დილომში, კოლეჯში სწავლობს. „მაგთის“ კონკურსის შესახებ, მას და მის თანაკლასელებს მასწავლებელმა შეატყობინა. ვინაიდან სახლების ხატვა ძალიან უყვარს, გადაწყვიტა, რომ სახლი „დედა“ და „სახლი“ შვილი დაეხატა.

„დედიკოს 3 მარტს ჩემი ნახატი მივართვი. სახლები დავხატე -დედა და შვილი. ხატვის ოთახში მასწავლებელმა გვითხრა, რომ კონკურსი იყო, დედისთვის ვისაც რა უნდოდა ის დაგვეხატა და დედის დღე მიგველოცა. გავიმარჯვე და დედიკოსთან ერთად პარიზში წავალ, ორივეს ძალიან გვიხარია. კიდევ მინდა, რომ „მაგთის“ დიდი მადლობა გადავუხადო“, - ამბობს ნინო გეგეშიძე.







ნინოს დედა ინგა კილაძე შვილის ნახატით თვითონაც აღფრთოვანებულია, ვინაიდან მასში დიდი ემოცია ჩანს.

„კოლეჯში, სადაც ნინო სწავლობს, მასწავლებლებს შეატყობინეს, რომ „მაგთიკომი“ ატარებს კონკურსს. ბავშვებს მისცეს თემა და უთხრეს, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით რაც უნდოდათ ის დაეხატათ. ნინოს სურვილი იყო, დაეხატა ხელიხელჩაკიდებული ორი სახლი და როგორც ჩანს ისეთი გრძნობა ჩადო ამ ნახატში, რომ დიდი მოწონება დაიმსახურა. დისნეილენდის ნახვა ჩემი ბავშვობის ოცნებაც იყო, ახლა ამ ოცნებას ჩემს შვილთან ერთად ავიხდენ“, - ამბობს ინგა კილაძე.

ათუკა გიორგაძის დედიკო, დედის დღეს ქალაქში, მასთან არ იმყოფებოდა, გადაწყვიტა მისთვის ვიდეომილოცვა მიეძღვნა და კონკურსშიც მიეღო მონაწილეობა.

„მე დედის დღეს სხვაგან ვიყავი წასული, თუკამ და მამამისმა მოვიფიქრეთ, რომ ჩემთვის ვიდეომილოცვა მიეძღვნათ და კონკურსშიც მიეღოთ მონაწილეობა. „ფეისბუქზე“ ყველაზე რეიტინგული ჩვენი ვიდეო აღმოჩნდა. მე და ათუკა დისნეილენდს ვნახავთ, ძალიან მიხარია, რომ ჩემს შვილს ბავშვობას გავუხალისებთ. მან უკვე ბევრი რამ იცის ამ ზღაპრული სამყაროს შესახებ“, - ამბობს ავთანდილ გიორგაძის დედა.

„მაგთიკომი“ მომხმარებელს მომავალშიც უამრავ საჩუქარსა და სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება.

**ნინო ბლიაძე**

# გელა კვაჭანტირაძე: „საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ნაციონალები რამდენიმე სატელიტ პარტიას შექმნიან“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გელა კვაჭანტირაძესთან

*— ვინაიდან ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, ამიტომ მინდა გკითხოთ იმ კანდიდატებზე აზრი, რომლებსაც ყველაზე ხშირად ახსენებენ მედიაში, განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ოცნების კანდიდატურებზე თქვენი პოზიცია, მაგალითად, სალომე ზურაბიშვილზე, ხმალაძეზე?*



— ორივე ამ პიროვნების მიმართ მაქვს ძალიან დადებითი დამოკიდებულება, ბატონი ვახტანგი არის პასუხისმგებლობის მქონე წესიერი ადამიანი, უმაღლესი რანგის პროფესიონალია, როგორც იურისტი და კონსტიტუციონალისტი, მე პირადად ვიცნობ მას, ქალბატონ სალომეს რაც შეეხება, მე მგონი, არის პრობლემა იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტიტუციაში წერია, ადამიანი, ვინც კენჭს იყრის პრეზიდენტობაზე, ბოლო ხუთი წელი უნდა ცხოვრობდეს საქართველოში. ეს ჩანაწერი მას რამდენად შეუშლის ხელს, არ ვიცი. რა თქმა უნდა, ქალბატონ სალომეს კანდიდატურასაც მივესალმები, ის არის პროფესიონალი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, კარგი კანდიდატურაა. მე მაინც ვფიქრობ, რომ კანდიდატურების დასახელება ადრეა, ქართული ოცნებაც არ არის ჩამოყალიბებული. ზაფხულის ბოლოს, შემოდგომის დასაწყისში გაირკვევა კანდიდატურების შესახებ.

*— გვიან ხომ არ იქნება ზაფხული და შემოდგომა დასახელებისთვის?*

— საზოგადოება ამ ადამიანებს კარგად იცნობს, მათ ჩამოყალიბებული ხედვა აქვთ, ერთი და ორი თვე სრულიად საკმარისი იქნება წინასაარჩევნო კამპანიისთვის.

*— ვარაუდი გამოითქმის, რომ ნაციონალური მოძრაობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გაიყოფა გუნდებად. თქვენ ხომ არ ხედავთ რაიმე ნიშნებს მათი გუნდებად დაყოფასთან დაკავშირებით?*

— ის სახეები, რომლებიც გაცვეთილი არიან საზოგადოების თვალში და არაპოპულარული არიან, კარგად იციან ამ პარტიაში, რომ მათგან უნდა განთავისუფლდნენ, რათა მოახდინონ იმიჯის და ნდობის აღდგენა. მეორე მხრივ სწორედ ეს პიროვნებები კრავენ ამ გუნდს, ნაცმოძრაობა მიხეილ სააკაშვილთან ერთად და მის გარეშე სხვადასხვა იქნება. შეიძლება სატელიტი პარტიების მეშვეობით რაიმე ახალი სატელიტი ორგანიზაციები შექმნან, შეეცადონ, ჩამოირეცხონ ის მინუსები, რაც აჩვენა ბოლო წლებმა მათი მოღვაწეობისა. აქვე ცნობილია ის, რომ იქ გარკვეულ ჯგუფებს თავიანთი ინტერესები აქვთ და ცდილობენ პოლიტიკური კარიერის გადარჩენას.

*— უგულავასა და მერაბიშვილის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე გამოითქმება ვარაუდი, თითოეულის თაობაზე იქნება გვითხრათ, რამდენად აქვს თითოეულს გამარჯვების შანსი და დაახასიათეთ ისინი.*

— ერთი წლის წინ სულ სხვა დამოკიდებულება იყო ამ საკითხის მიმართ თვითონ ნაცმოძრაობის შიგნით. როცა ძალაუფლებაში იყვნენ, ამ პარტიის შიგნით დიდი კონკურენცია იყო, ვინ იქნებოდა ახალი საპრეზიდენტო კანდიდატი. მაგრამ ამ ვითარებაში, როცა წაგებული არიან და რეიტინგი არა აქვთ, ახლა ვინ მოისურვებს ამ პოსტისთვის ბრძოლას, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, სურათი შეცვლილია. არავის სურს წააგოს. უფრო სხვა ჭრილში იქნება მათ შორის კონკურენცია, რომ აიცილონ მოსახლეობის რისხვა და არა ის, რომ რაიმე შანსი აქვს მათ კანდიდატს. ორივე მათგანს, უგულავასაც და მერაბიშვილსაც აქვთ კანონის უპატივცემულობის პრობლემა. რაშიც ედავება ხელისუფლება, ეს სამართლიანი დავაა. ასევე მათი პრობლემაა მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფა. პოლიტიკაში ეს გადამწყვეტი ფაქტორებია და ვილაპარაკოთ, რომელი უფრო ნიჭიერია და რომელმა რა ხიდი და რა ციხესიმაგრის რეკონსტრუქცია გააკეთა, აზრს კარგავს.

*— საპარლამენტო უმრავლესობა კანონებზე ეფექტურად ვერ მუშაობს იმის გამო, რომ კოალიციის სიაში ბევრი აღმოჩნდა რეჟისორი, მსახიობი, და ხელოვანი ზოგადად, ამიტომ შუალედურ არჩევნებში უკვე უსუფაშვილმა ივანიშვილს ურჩია იურისტებზე აქცენტის გაკეთება. როგორია თქვენი აზრი ამ პრობლემასთან დაკავშირებით?*

— ბატონ დავით უსუფაშვილს დიდ პატივს ვცემ, გონიერი, გაწონასწორებული პოლიტიკოსია, ამ საკითხში შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ, რომ იურისტების ნაკლებობაა, ხელოვანი ადამიანები საზოგადოებას უყვარს, ისინი პოპულარულები არიან, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის მათ მოღვაწეობას და კონტაქტს საზოგადოებასთან. პარლამენტში ეკონომისტების ნაკლებობაა, დიდი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები გვაქვს, ისეთი ეკონომისტები, რომლებსაც აქვთ სისტემური კვალიფიციური ხედვა, კონკრეტული გეგმები და რეალური მიმღები არიან გადაწყვეტილებისა, ასეთი ხალხი პარლამენტში, სამწუხაროდ, ცოტაა. მე უფრო ეკონომისტებზე გავაკეთებდი აქცენტს. ამის დეფიციტი პარლამენტშიც არის და მთავრობაშიც.

*— რეჟისორმა და დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ 19 აპრილის მიმართ შეშფოთება გამოხატა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქართული ოცნება წინასწარ აზვიადებს ამ თარიღს და ამ აქციის მნიშვნელობას და ზედმეტ ყურადღებას იჩენს. როგორ ფიქრობთ, ახალ ხელისუფლებას ეშინია ამ აქციის?*

— ვიდრე მოხდებოდა საკონსტიტუციო ცვლილებები, 19 აპრილის დანიშნულება სულ სხვა იყო და ახლა სულ სხვაა. დიდი პრობლემა ექნება ნაცმოძრაობას, რომ იქ მრავალრიცხოვანი მიტინგი გამართოს, რომც მოხდეს უკმაყოფილო ხალხის საკმაო რაოდენობით შეკრება, დავუშვათ, რაღაც პროვოკაციებიც რომ მოხდეს, ეს არის სამართალდამცავი ორგანოების საქმე, რომ თავიდან აიცილონ მსგავსი ექსცესები. რეიტინგი ნაციონალებს დაბალი აქვთ და არავითარი შანსი არა აქვთ, ხალხის მხარდაჭერა მოიპოვონ. თუ რაიმე უკანონობას ჩაიდენს ნაციონალური მოძრაობა, მათ ლიდერებს მოუწევთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და პარლამენტში ხუთიოდე დეპუტატიღა დარჩებათ. არა მგონია, ამაზე ვინმე წავიდეს. 19 აპრილის პრობლემა არ არსებობს, ეს დღე ჩაივლის პრობლემების გარეშე.

*— ამავე დროს ოპოზიციას აქვს უფლება, აქცია გამართოს, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ მოიქცევა ქალაქის პოლიციის სამმართველო, ალბათ რაღაც რკალში უნდა იყვნენ აქციის მონაწილეები, რომ ძალადობა გამოირიცხოს იმიტომ, რომ ყოველი ასეთი შემთხვევა ნაციონალების წისქვილზე დაასხამს წყალს.*

— რა თქმა უნდა, ოპოზიციას აქვს უფლება, პროტესტი გამოხატოს, თუ ის კანონგარეშედ არ არის გამოცხადებული, ეს უფლებები რომ არ იყო გარანტირებული წინა ხელისუფლების მიერ, ამაში იყო პრობლემა. აქ უკვე ტექნიკური პრობლემაა, რომელი პოლიციელი სად დადგება, მთავარია, რომ დამოკიდებულება იყოს სამართლებრივი, ვერავინ ვერ გამორიცხავს იმას, რომ თუ კაცს პროვოკაციის მოწყობა უნდა, ის ამის გაკეთებას შეეცდება. წინასწარ ვერავის დაიჭერენ, სანამ მას რაიმე ექნება ჩადენილი, როცა რამეს ჩაიდენს, მხოლოდ მაშინ დააკავებენ. ნაცმოძრაობა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს სამსახურიდან ათავისუფლებდა, ციხეში ამწყვდევდა, რეპრესიებს ატარებდა მისი ოჯახის წევრების მიმართ, ასეთი რამ ამ შემთხვევაში არ ხდება და იმედია, არც მოხდება.

*— როგორ შეაფასებთ ნაძალადევის რაიონში წარმოდგენილ კანდიდატურებს შუალედურ არჩევნებში, კუკავას, კორძაიას, ედპ-ს?*

— წყვეტს არჩევნებს ის, თუ ვისი კანდიდატია ესა თუ ის ადამიანი და არა მისი პიროვნება. ჯოხი რომ დაგეყენებინათ, მაინც ოპოზიციური კანდიდატურა გაიმარჯვებდა ეს 2009 წლის არჩევნების დროსაც იყო, ახლაც, მე მგონი, ასე იქნება. ქართული ოცნების კანდიდატს ექნება დიდი უპირატესობა სხვებთან შედარებით, რაც შეეხება სხვა პარტიების კანდიდატურებს, იქნება ეს ედპ თუ კუკავას პარტია, მათ რეიტინგიდან გამომდინარე მიზერული შანსები აქვთ, პიროვნული რეიტინგი აქ საქმეს არ გადაწყვეტს.

*— თუმცა კუკავა, როგორც კვალიფიციური იურისტი, საინტერესო იქნებოდა ახალ პარლამენტში. ასე არ ფიქრობთ?*

— მე ვფიქრობ, ხალხი პერსონალიებზე კი არ აკეთებს აქცენტს, არამედ პარტიებზე და მათ რეიტინგზე. კუკავა უდავოდ ნიჭიერი პოლიტიკოსია, თუ ის გაიმარჯვებს და შევა პარლამენტში, პირადად მე მივესალმები ამას და არაფერი მისი საწინააღმდეგო არა მაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. სხვა დროს როცა რეიტინგები გაუტოლდება ერთმანეთს, შეიძლება სხვა პარტიას მეტი შანსი ჰქონდეს. გასულ არჩევნებში კუკავამ ბევრი ხმა მიიღო და მაინც არ ეყო გამარჯვებისთვის. თუმცა პერსპექტიული პოლიტიკოსია და დრო არის საჭირო იმისათვის, რომ მან წარმატება მოიპოვოს.

# გაჭყლეტილი ელექტორატი

როლანდ ხოჯანაშვილი

**ადვილი შესამჩნევია, რომ პარტიული ელიტა კარგად ცხოვრობს. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხრიდან „ჩაავლებ ხელს მათ, არცერთს არ უჭირს იმდენად, როგორც იმ ხალხს, რომლებიც ადრეც იჭყლიტებოდა და არც ახლა უდგას ამქვეყნიური სამოთხე კარის ზღურბლზე.**

არავინ იფიქროს, ეს რა პროლეტარული აზროვნებაა, კარგად რატომ არ უნდა იცხოვროს პოლიტელიტამო, მაგრამ ხელისუფლების წყარო ხალხია და ამომრჩევლის დავიწყება ისე ადვილად არ შეიძლება, როგორც შარშანდელი თოვლი. რამ გამახსენა ასე მძაფრად ელექტორატის მდგომარეობა?! შუალედური საპარლამენტო არჩევნების გამო ისეთი მარათონია გამართული (ვერბალური, რასაკვირველია), რომ ტრადიციული დაპირებების კასკადი თავბრუს ახვევს იმ ადამიანებს, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ და აქტიური საარჩევნო უფლებაც მიიღეს სრულწლოვანების გამო.

ზეციური სამოთხის ამქვეყნად ჩამოტანის დამპირებლები მალე ივიწყებენ სიტყვებს: დასაქმება, სამართლიანობა, თანადგომა, თანაგრძნობა და კიდევ არაერთ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ელექტორატს ასე ესაჭიროება კარგი ცხოვრების დასაწყებად.

პანტაპუნტით დაშლილი მუნიციპალიტეტის საკრებულოების პოლიტიკური სპექტრი, დიდი ნაც-ოც-ობა (აგერ, ბატონო, ქუთაისის საკრებულო განიტვირთა ნაციონალი დეპუტატებისგან), მედროვეობად აღიქმება. ოღონდაც არ თქვან ახლა, რომ ფორმის შეცვლა შინაარსზეც ყოველთვის მოქმედებსო, ეგ აღარ დაიჯერება. ვცდილობ, დავამკვიდრო აზრი, რომ პოლიტიკაში წასულთა შორის არ ვეძებოთ ანგელოზები.

სანამ იმაზე მსჯელობს პარლამენტი, რა უნდა ეცვას კანონმდებელს, როგორი პრეზერვატივი შეიძლება გაიყიდოს საგანმანათლებო დაწესებულებთან ახლოს, ან კიდევ ულტრათანამედროვე ტელეფონებით პორნოსაიტებს ათვალიერებენ სხდომების დროს(ისე, არ უნდა ჭირდეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში სიხშირის ჩახშობა), მანამდე არც უნდა ველოდოთ დიდ სიკეთეთა ფრქვევას.

„ახალი თაობა“ ადრეც წერდა, თუ როგორ გაეპარა ზესტაფონის მაჟორიტარი ამომრჩევლებს. ახლა უკვე იმას ველოდები, რა პასუხს მომცემს საჩხერის მაჟორიტარის ბიურო გახმაურებულ ე.წ. ციცქიშვილების საქმეზე (დღესაც ძნელად იჯერებს ხალხი, რომ უდენოდ და უგზოობაში ცხოვრობდა სამი მცირეწლოვანი ბავშვი).

პენსიის ზრდა, ხელფასების მატება და სოციალური შემწეობის გაორმაგების პერსპექტივა ძალიან კარგია, თუმცა ჯერ კიდევ შორია საარსებო მინიმუმამდე.

ახალციხეში როგორ შეკეთდა რაბათი, რამდენი თანხა გაიხარჯა და რა პიარაქციული იყო ოსმალური კომპლექსის რესტავრაცია, კარგა ხანს იქნება ენის საფხანი საშუალება, არადა ბანკის ვალებში ამომხვრჩალი მოსახლეობისათვის მხოლოდ წყლის ნაყვაა ის პოლემიკა, რომელსაც ცალკერძ მერაბიშვილი და ცალკე მისი ოპონენტები რომ ახმიანებენ.

ყველაზე გვიან კვდება იმედი, ამას „ნაციონალური მოძრაობა“ 19 აპრილს დაინახავს თვალნათლივ, მაგრამ ეს არანაირი შეღავათი არაა ჯანმრთელობაშერყეული ადამიანებისათვის, არც იპოთეტიკით დატვირთულ გადასახვისებულ შენობებს დაუბრუნებს ყოფილ პატრონებს.

ბოლო ცხრა წლის განმავლობაში მომხდარ ყველა ნეგატიურ მოვლენასა და ფაქტზე პასუხისმგებელი „ნაციონალური მოძრაობაა“, რადგან მხოლოდ ისინი იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და პასუხისმგებლობას სხვა ვერავინ ვერ აიღებს მათ ნაცვლად. კოჰაბიტაციის ნირვანაში ჩაძირული „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ნაკლებად ხედავს, რომ ელექტორატი იჭყლიტება.

ამომრჩეველმა ახალი ხელისუფლების მოსაყვანად ყველაფერი გააკეთა, მადლობელიც რჩება იმ პოზიტივებზე, რომელიც ხელის გულზე გვიდევს და ვხედავთ, მაგრამ დაპირებულის რამდენი პროცენტია შესრულებული?!

ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკა, რომ ყველაფერი შარშანდელზე უკეთესადაა, ეს არ არის დიდი შეღავათი. იმერეთში ამბობენ ხოლმე: გლახაკს თუ აჯობე, ეს სულაც არ არის წარმატება, კარგის წინ წასვლა ჩათვალე წარმატებადო.

მასობრივად მოხსნილი შემწეობები (ვფიქრობ, რომ სამართლიანადაც, რადგან ავტომობილიან ხალხსაც ჰქონდა შემწეობა და მკვახესიტყვიანი ჯიბეგამოფხეკილი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები ვერ ღებულობდნენ იმ 24-30 ლარიან დაფინანსებას) უკმაყოფილების ერთ-ერთი საფუძველი იქნება მანამდე, სანამ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას არ ექნებათ უმუშევრობის პრობლემა მოხსნილი.

ფიზიკის კანონია: რაც უფრო მეტია დაწოლა, მით მეტია ამომგდები ძალის უკუგება. ძვირფასო პოლიტიკოსებო, ნუ ეცდებით ელექტორატის გაჭყლეტას, რადგან ამას სულ არ მოითმენს ამომრჩეველი.

# „სითი პარკის“ თანამშრომლები სასამართლოს მიმართავენ

**„სითი პარკის" 40-მდე თანამშრომლის ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი თბილისის მერიას „სითი პარკის" მფარველობაში ადანაშაულებს და სასამართლოს მიმართავს.**

როგორც გუშინ „მაესტროს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე „სითი პარკის“ თანამშრომლების ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განაცხადა, მას „სითი პარკის“ 40-მდე თანამშრომელმა, რომლებიც რამდენიმე დღეა გაფიცულები არიან, დახმარების თხოვნით მიმართეს.

ადვოკატის განმარტებით, „სითი პარკი“ თბილისის მერიისგან მინიჭებული დელეგირებული უფლებით სარგებლობს.

„მერიის ინტერესი აქ ცალსახაა და ის აშკარად მფარველობს „სითი პარკს“. ამიტომაც მოხდა ისე, რომ ეს ხალხი აქამდე ხმას ვერ იღებდა“-აცხადებს კუბლაშვილი.

მისი თქმით, „სითი პარკის“ თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათ უფლებებს კომპანიის გენერალური მენეჯერი ბენიამინ ლაჰაფი და ერთ-ერთი უცხოელი მფლობელი დავიდ ფილა არღვევენ.

„ისინი აცხადებენ, რომ ეს პიროვნებები მათ აიძულებენ განახორციელონ ხშირი დაჯარიმება და ასევე არამართლზომიერი გზით, ევაკუატორით საჯარიმო ავტოსადგომზე მანქანების გადაყვანა. თანამშრომლები თვლიან, რომ ეს მოთხოვნა ღირსების შემლახავია. მათი თქმით, ისეთი პარკირების სისტემაა შემუშავებული, რომელსაც მძღოლები შეცდომაში შეყავს და ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიღებაზე და ამას მხოლოდ ბიზნესის სახე აქვს. ამიტომ ის არ ემსახურება იმ სისტემას, რისთვისაც მას მერიისგან დელეგირებული უფლება აქვს მიღებული. გარდა ამისა, „სითი პარკში“ ყველა დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულებები ჩამორთმეული აქვს. ვინც კი პრეტენზიას აცხადებს, სამსახურიდან ათავისუფლებენ. ხდება მუქარა და ზეწოლა. „სითი პარკის“ თანამშრომლები ჯარიმების წერაზე ზეწოლის შეწყვეტას, ფიქსირებულ ხელფასს, მანქანების საჯარიმოზე გადაყვანაზე ზეწოლის შეწყვეტას, თანამშრომლების ტელეფონით და უკანონოდ გათავისუფლების შეწყვეტას და ხელფასებს გაზრდას ითხოვენ“, — აცხადებს ადვოკატი.

მან ჟურნალისტებს „სითი პარკის“ ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის შრომითი ხელშეკრულებაც წარუდგინა, სადაც წერია, რომ თუ კომპანიის თანამშრომელი ყოველდღიურად მინიმუმ რვა მანქანას არ გადაიყვანს საჯარიმო ავტოსადგომზე, ის ანაზღაურებას ვერ მიიღებს.

„ამიტომ მათი უფლებების დასაცავად სასამართლოს მივმართავ. მივმართე „სითი პარკის“ ადმინისტრაციასაც და შრომითი ხელშეკრულებების წარმოდგენა ვთხოვე. ორი დღეა „სითი პარკი“ არ მუშაობს და ეს გაფიცვა მანამდე გაგრძელდება, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. თუ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ეს ყველაფერი უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს და ისინი საპროტესტო აქციებს გამართავენ“, — აცხადებს ადვოკატი.

მედიანიუსი

| ბ ა ლ ა ნ ს ი - ააიპ "საქველმოქმედო ასოციაცია თიბისი" | | | |
|---|---|---|---|
| *პერიოდი: 01/01/2012- 31/12/2012* | | | |
| *ქართული ლარი, საბალანსო, ნაერთი, რაოდენობა: 1, კურსი: 1.0000* | | | |
| ***1 - აქტივი*** | | | |
| ***1000 - მიმდინარე აქტივები*** | | | |
| **1100 - ნაღდი ფული სალაროში** | | | |
| | | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1110 | ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 0.35 | 0.35 |
| | | 0.35 | 0.35 |
| **1200 - ფული საბანკო ანგარიშზე** | | | |
| | | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1210 | ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 30036.18 | 9999.9 |
| 1220 | უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 500 | 57.41 |
| | | ***30536.18*** | ***10057.31*** |
| **1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | | | |
| | | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1610 | საქონელი | 568.74 | 568.74 |
| | | ***568.74*** | ***568.74*** |
| **1900 - სხვა მიმდინარე აქტივები** | | | |
| | | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 1910 | სხვა მიმდინარე აქტივები | 14700.33 | 14700.33 |
| | | ***14700.33*** | ***14700.33*** |
| | | ***45805.6*** | ***25326.73*** |
| ***2 - პასივი*** | | | |
| ***5000 - საკუთარი კაპიტალი*** | | | |
| **5200 - პარტნიორთა კაპიტალი** | | | |
| | | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 5240 | პროექტის მხარდამჭერის ფონდი | -14047.92 | -14047.92 |
| | | ***-14047.92*** | ***-14047.92*** |
| **5400 - რეზერვები და დაფინანსება** | | | |
| | | **საწყისი** | **საბოლოო** |
| 5440 | მიზნობრივი დაფინანსება | -31757.68 | -11278.81 |
| | | ***-31757.68*** | ***-11278.81*** |
| | | ***-45805.6*** | ***-11278.81*** |
| | | **-45805.6** | **-25326.73** |

*აღ. დირექტორი* ---------------------------------- *მაია ძირკველიშვილი*

*აუდიტორი* ---------------------------------- *დავით შალიკაშვილი*

## ააიპ საქველმოქმედო ასოციაცია „თიბისი“ საქმიანობის დეტალური აღწერა

საქველმოქმედო ასოციაცია „თიბისი“ რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2006 წლის 6 ივნისს (ბრძანება №779) რეგისტრაციის მოწმობა №01186/12/0635 საიდენტიფიკაციო ნომერი 202340243, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №7.

ასოციაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი მიენიჭა 2009 წლის **25 ნოემბერს** №4412 ბრძანებით, მოწმობის №001

ასოციაციაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა – 2;

ასოციაციის მიზანია:

– იმ ფიზიკური პირების დახმარება, რომელიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას ან ადაპტაციას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირების, მათ შორის ინვალიდების, მოხუცებულების, ობოლი ბავშვების, მარჩენალდაკარგულების, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების, ავადმყოფების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრების, ომის, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულების მხარდაჭერა;

– ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის დახმარება:

– სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების მხარდაჭერა;

– განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირების ტალანტის განვითარების ხელშეწყობა:

– საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება;

– ანალოგიური მიზნებისა და ამოცანების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება:

### ინფორმაცია შემოსავლების შესახებ

2012 წლის განმავლობაში ასოციაციის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა სს „თიბისი“ ბანკი.

2012 წლის განმავლობაში სს "თიბისი" ბანკიდან შემოწირულობის სახით მიღებულია 200 000 ლარი;

2012 წელს ასოციაციაცია თიბისისა და შპს "ემ ბისი გორგიას" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში შემოწირულობის სახით მიღებულია 104609.79 ლარი.

სულ შემოწირულობის სახით სახით მიღებულია 304609.79 ლარი.

### ინფორმაცია ასოციაცია „თიბისის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ასოციაციამ სს „თიბისი“ ბანკის მხარდაჭერით განახორციელა საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა შემდეგ სფეროებში: გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, ადამიანის უფლებების დაცვა. სს "თიბისი" ბანკის შემოწირულობით ასოციაციამ შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია რელიგიური ორგანიზაციებისათვის, ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის.

### ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარჯების დაფინანსება

ააიპ საქველმოქმედო ასოციაცია „თიბისი“ ეხმარება იმ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მძიმე ფინანსური მდგომარეობის ფონზე ესაჭიროებათ ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ასოციაცია ეხმარება მათ მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და სტაციონალური მკურნალობის ხარჯების დაფარვაში. ასოციაციამ 2012 წლის განმავლობაში დაეხმარა 15 ადამიანს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხარჯების დაფარვაში, რაზედაც გაიღო 127877.38 ლარი;

### სოციალური პროგრამა

2012 წლის განმავლობაში ასოციაცია „თიბისი“ ეხმარებოდა და თანადაფინანსებას უწევდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებდნენ სოციალურ პროექტებსა და საქველმოქმედო აქციებს.

ასოციაციამ 2012 წლის განმავლობაში ფინანსური დახმარება აღმოუჩინა უაღრესად ხელმოკლე ოჯახებს. მრავალშვილიან ოჯახს გაუწია ფინანსური დახმარება ქ. რუსთავში საცხოვრებელი საცხოვრებელი ფართის შეძენასა და გარემონტებაში, რისთვისაც გაიღო 29476 ლარი

სოციალური დახმარების სახით ხელმოკლე ოჯახების დასახმარებლად 2012 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი 2740 ლარს შეადგენს.

სულ სოციალური პროგრამის ფარგლებში 2012 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯი შეადგენს 32216 ლარს.

### განათლებისა და ხელოვნების დაფინანსება

ასოციაცია კვლავ აგრძელებს ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარებას მათი განათლების დაფინანსების გზით. ასოციაციამ ფინანსური დახმარება აღმოუჩინა იმ ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლობდნენ საქართველოს თუ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში და საჭიროებდნენ ფინანსურ მხარდაჭერას. ასოციაციამ დააფინანსა 8 ნიჭიერი ახალგაზრდის განათლება, რაზედაც გაიღო 23998 ლარი.

ასოციაცია "თიბისი" ტრადიციულად ეხმარება ხელოვნების სფეროს მუშაკებს შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებაში, საკონცერტო მასალების დამუშავებაში, წიგნებისა და ლექსიკონების გამოცემაში.

"თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს" დაეხმარა 1000 ლარით.

ფინანსური დახმარება გაუწია გამომცემლობა "მოწყალე სამარიტელი"-ს საბავშვო ქრისტიანული ლიტერატურის გამოსაცემად, რაზედაც გაიღო 240 ლარ.

დააფინანსა ქართლოს კასრაძისა და ვაჟა აზარაშვილის წიგნების გამოცემა თანხით 500 ლარი;

ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა თელავის ნიკო სულხანიშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებელს, რისთვისაც გაიღო 1500 ლარი, ხოლო საქართველოს სამუსიკო ხელოვნების მხარდაჭერისა და განვითარების ფონდს დაეხმარა 2000 ლარით.

ფინანსური დახმარება გაუწია აჭარაში ინტელექტუალური ტურნირებს, "ინტელექტუალურ კლუბს" ნაერიცხა 2000 ლარი.

1000 ლარით დააფინანსა "ოჯახში დამზადებული ღვინის მეხუთე ფესტივალი";

ფინანსური მხრადაჭერა აღმოუჩინა ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრს" 400 ლარით.

"საქართველოს ჰუმანიტალურ მეცნიერებათა აკადემიის წმ. ილია მართლის სახ. თბილისის ერ. ცენტრის" ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 3000 ლარი.

განათლებისა და ხელოვნების სფეროს დაფინანსების მიზნით 2012 წელს ასოციაციამ 44 138 ლარი გაიღო;

### სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

2012 წლის განმავლობაში ასოციაციამ დააფინანსა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, რაზედაც გაიღო 5 000 ლარი;

### რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება

ასოციაცია „თიბისი“ ფინანსურ დახმარებას უწევს რელიგიურ ორგანიზაციებს. ფინანსური დახმარება გაეწია ფოკის წმიდა ნინოს სახ. დედათა მონასტერს თანხით 23 300 ლარი: შატილის ხარების ეკლესიას – 4000 ლარი; ტაბაკინის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტერს 11500 ლარის ოდენობით; წმ. ნიკოლოზის მშენებლობის ფონდს დაეწია დახმარება 3000 ლარის ოდენობიტ; ხონის ეპარქიას 4000 ლარის ოდენობით; ბაგებში "13 ასურელი მამის სახ. ეკლესიის მშენებლობის ფონდს" გადაერიცხა 5000 ლარი, ზემო ფონიჭალაში მდებარე ღვთისმშობლის ტაძარს ჩაერიცხა 300 ლარი, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მამათა მონასტერს" ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხა 6479 ლარი.

შპს "ბი ემ სი" გორგიასთან" გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ეკლესია მონატრებს გაეწიათ ფინანსური დახმარება. კერძოდ: შავნაბადას წმ. გიორგის სახ. მონასტერს 2000 ლარი, ქართის ათანასე ალექსანდრიელის მამათა მონასტერს 1500 ლარი, ურბნისისა და რუისის ეპარქიას 1500 ლარი, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიას ბათუმის საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის 334 ლარი

რელიგიური ორგანიზაციებისათვის გაწეული დახმარება 2012 წლის განმავლობაში 62 914 ლარს შეადგენს;

### დახმარება სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს

ასოციაცია „თიბისი“ ფინანსურ დახმარებას უწევს სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, გარემოს დაცვა, კულტურა, განათლება, ფიზიკური აღზრდა, ხელოვნება, ადამიანის უფლებების დაცვა. სს "თიბისი" ბანკის შემოწირულობით ასოციაციამ შეძლო ფინანსური დახმარება გაეწია ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი და მომსახურე ორგანიზაციებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის, საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის.

ივრის სახელმწიფო ნაკრძალის ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი "დურაჯი" გაეწია ფინანსური დახმარება 14315 ლარის ოდენობით.

ფონდი „პირველ ნაბიჯს“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დასახმარებლად გაეწია ფინანსური დახმარება 10000 ლარის ოდენობით; სენაკისა და ჩხოროწყუს განვითარების ფონდს 10000 ლარის ოდენობით, კულტურულ ჰუმანიტარულ ფონდს 1000 ლარის ოდენობით, „საქართველოს ამერიკელი მეგობრები იკს“ ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხა 6005.52 ლარი, „კათარზისს“ მოხუცემულთათვის „უფასო სასადილოს“ ხარჯების დასაფარად გაეწია 500 ლარის დახმარება; მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლს „სიკეთის ლამპარს“ გადაერიცხა 50 ლარი, უსინათლოთა კავშირს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხა 200 ლარი

სულ სხვა ორგანიზაციებს გაეწიათ 42070.52 ლარის დახმარება.

სულ გაწეული ხარჯების ჯამი 314965 ლარი

საქველმოქმედო ასოციაცია „თიბისი“

აღ. დირექტორი ---------------- მ. ძირკველიშვილი

აუდიტორი ---------------- დავით შალიკაშვილი

# როგორი უნდა იყოს თანამედროვე სათეატრო სივრცე?

ეკა ირემაშვილი

**„ლიგამუსში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით, თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს ეროვნულ ბიუროსთან და საქართველოს თეატრების რეგიონულ ქსელთან თანამშრომლობით გაიმართა „მრგვალი მაგიდა“ თემაზე „თანამედროვე სათეატრო სივრცე“, რომელშიც მონაწილეობდნენ თეატრის რეჟისორები, მხატვრები, მუსიკოსები, დრამატურგები, თეატრმცოდნეები და კულტურის მენეჯერები.**

ერთდროულად რამდენიმე მოდერატორთან ერთად დისკუსიაში ჩართვისა და კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცა ნებისმიერს, მით უფრო, რომ „მრგვალ მაგიდაზე“ დასწრება თავისუფალი იყო.

აღნიშნული თემის განხილვისა და ვიდეოჩვენებების გარდა, დისკუსიაში ლონდონიდან სკაიპით ჩაერთო კომპოზიტორი გიორგი ჯანიაშვილი, რომელიც ძმასთან, მხატვარ დავით ჯანიაშვილთან ერთად საინტერესო პროექტებს ახორციელებს. ვიდეოჩანაწერის გარდა, დისკუსიის დასრულების შემდეგ ტექსტუალური მასალაც გავრცელდა.

„სათეატრო ძიებები – ეს ახალი სივრცის ძიებაა“ – ასეთი გზავნილი მიიღო ამ ღონისძიებაზე შეკრებილმა საზოგადოებამ. სწორედ ახალი სივრცეების ათვისების დეფიციტი დაისახა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ქართულ სათეატრო სივრცეში „მრგვალ მაგიდაზე“, რომლის მომხსენებლებიც, თანამედროვე ევროპული თეატრის გამოცდილების პრეზენტაციასთან ერთად, თანამედროვე ქართული სათეატრო სივრცის პრობლემებს განიხილავდნენ. ლევან ხეთაგურთან ერთად ვრცელი მოხსენებები წარმოადგინეს ძმებმა – მხატვარმა დავით ჯანიაშვილმა და კომპოზიტორმა გიორგი ჯანიაშვილმა. მათ წარმოადგინეს ერთობლივი ნამუშევარიც. ნაჩვენები იქნა თანამედროვე კინო და თეატრალური ხელოვნების სინთეზური ბუნების სადემონსტრაციოდ ჟან ფაბრის, რომეო კასტელუჩისა და რობერტ უილსონის შემოქმედების ვრცელი ვიდეო-პრეზენტაცია, ასევე ნაწყვეტები პიტერ გრინუეის, ალეხანდრო ხოდოროვსკისა და დერეკ ჯარმენის ფილმებიდან.

– ეს არის არა მხატვრის, არამედ მაყურებლის თეატრი, რომლის თემის დაბადება და დრამატული გადაწყვეტა ხდება მაყურებლის გონებასა და წარმოსახვაში. ავტორი ამ შემთხვევაში ქმნის ახალ სივრცეს, სადაც ამ წარმოსახვის წახალისებას, ვიზუალურ და აუდიოზემოქმედებასთან ერთად, სუნისა და შეხების შეგრძნების საშუალებით ცდილობს, – აღნიშნავს მხატვარი დავით ჯანიაშვილი.

**კინომსახიობთა თეატრის მმართველი და რეჟისორი ზურაბ გეწაძე:**

– ახალგაზრდა რეჟისორები არ ცდილობენ, აითვისონ ახალი სივრცეები. ჩემთვის გაუგებარია ახალკურსდამთავრებული რეჟისორების მისწრაფება, პირველივე სპექტაკლი რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე დადგან.

**თეატრმცოდნე ლევან ხეთაგური:**

– დასავლური თეატრი სრულიად სხვაგან არის, მაშინ როცა ქართული თეატრი კლასიკურ სტადიაზე დარჩა. ქართული თეატრი მსოფლიო კონტექსტში საუკუნის დასაწყისში უფრო იჯდა, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ კოტე მარჯანიშვილის შემოქმედება. მის სახელთან ქართული თეატრის ევროპასთან თანადროული განვითარებაა დაკავშირებული. ხელოვნების კვლევითი ინსტიტუტის ღონისძიება ქართულ თეატრში ახალი, თანამედროვე ფორმების გამომუშავების წახალისება და თანამედროვე სათეატრო სივრცის შექმნაზე დიალოგის დაწყებაა. ხელოვნების კვლევითმა ინსტიტუტმა საზოგადოებას ახალი მულტიმედიური პროექტის შესახებაც ამცნო, რომელშიც წვლილის შეტანის მსურველებსაც შეუძლიათ, კვლევით ინსტიტუტს მიმართონ. ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ, ჩვენ როგორ ვუპასუხოთ ახალი ფორმით იმ რეალობას, რომელიც არსებობს განვითარებულ ცენტრში. ჩვენ კი, შესაძლოა, პროვინციული გარემო არ ვართ, მაგრამ პერიფერიულ ნაწილად ვრჩებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ მალე მაყურებელს ამ ფორმის ხილვა მოუნდება, რადგან ეს თეატრი ისეთივე ინტერაქტიულია, როგორც ცხოვრება.

**ქეთი ჩხიკვაძე, პროექტის კოორდინატორი:**

– ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს ხელოვნების ინტერდისციპლინურ კვლევაზე, რომლის შედეგების ნაწილიც გასულ წელს წარმოდგენილი იყო ინსტიტუტის მიერ მომზადებულ პირველ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართული ხელოვნება XXI საუკუნის მსოფლიო კონტექსტში“ ბათუმში. შარშან ინსტიტუტი გახდა „ელიას“ სრულუფლებიანი წევრი, რაც არის დღეს უმაღლესი სახელოვნებო განათლების ინსტიტუტების მსოფლიოში ლიდერი ორგანიზაცია და მასში 500-ზე მეტი წევრია თითქმის ყველა კონტინენტიდან. ინსტიტუტის პროფესორებ-



მა დაიწყეს საბაკალავრო პროგრამები ხელოვნების თეორიისა და კულტურის მენეჯმენტის მიმართულებაში, რომლებშიც, საერთო ჯამში, 300-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობს. რაც შეეხება სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებს, აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტში მომზადებული პროგრამები მოიცავს როგორც სახელოვნებო თეორიასა და კულტურის მენეჯმენტს, ასევე სახელოვნებო პრაქტიკას. სამაგისტრო საფეხურზე 50-ზე მეტი სტუდენტია ჩართული, ხოლო სადოქტოროზე – 20-მდე, როგორც თეორეტიკოსი ასევე პრაქტიკოსი. ინსტიტუტმა პოლონურ საერთაშორისო ფონდ „ბორდერლედთან“ და სხვა პარტნიორებთან ერთად დააფუძნა „კულტურის დიალოგის საზაფხულო სკოლა“ სეინეში, რომელშიც წელს ილიაუნის სამმა მაგისტრანტმა და სამმა დოქტორანტმა სწავლისთვის სრული გრანტი მიიღო. შარშანვე ინსტიტუტმა რამდენიმე ათასი ფუნტის 300-მდე წიგნი მიიღო საჩუქრად ლონდონის ბრიტანული ბიბლიოთეკისგან. გარდა ამისა, ჩაატარა მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია. მთელი წლის განმავლობაში ინსტიტუტის კვლევითმა ცენტრებმა ჩაატარეს 10-მდე მრგვალი მაგიდა ხელოვნებაში მიმდინარე პრობლემებზე, პრემიერებსა და სხვა საკითხებზე. ინსტიტუტის მოწვევით ილიაუნში საჯარო ლექციები ჩაატარეს ბეკეტის ცენტრის დირექტორმა და ტრინიტი კოლეჯის პროფესორმა ბრაიან სინგლტონმა და უტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰიპ ჰაგორტმა. ინსტიტუტი მასპინძლობდა სამუშაო ვიზიტით ჩამოსულ პეკინის დრამის აკადემიის თეატრის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს პროფესორს შენ ლინის. ხელი მოეწერა სამომავლო პროექტებს, ჩინურ ენაზე მიხეილ თუმანიშვილის „სანამ რეპეტიცია დაიწყებას“ გამოცემას და წიგნის მომზადებას რობერტ სტურუაზე; ჩვენი სტუმარი იყო აზერბაიჯანის უნიმას პრეზიდენტი რაშად ალი ზადე და მასთან მოხდა სამომავლო ერთობლივი პროექტების განხილვა; ერევნის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის დელეგაცია. მათთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი; ავსტრიის ბოლზანოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რეინჰარდტ აუერიი. ინსტიტუტის ინიციატივით გაფორმდა საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმები ბილკენტის უნივერსიტეტთან (ანკარა), ლიტვის თეატრის, მუსიკის და კინოს აკადემიასთან. მომზადდა ელექტროგამოცემები, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მეორე და მესამე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებულები. ქართულად ითარგმნა და გამოსაცემად მზად არის კულტურის მენეჯმენტის სახელმძღვანელო, ხიპ ჰაგორტის „კულტურის მენეჯმენტის ანტრეპრენიორული სტილი“. ინსტიტუტის პროფესორებმა გასული წლის განმავლობაში წაიკითხეს ლექციები და ჩაატარეს ტრენინგები როგორც უნივერსიტეტში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მათ შორის იყვნენ პროფესორი ლევან ხეთაგური: ერევნის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი, პეკინის დრამის აკადემია, შანხაის დრამის აკადემია, ჰონკონგის ჩინური უნივერსიტეტი, ლიტვის თეატრის, მუსიკის და კინოს აკადემია და ა.შ. პროფესორი იური მღებრიშვილი: კიევის დემოკრატიისა და კულტურის განვითარების ცენტრი, პოლონეთის კულტურის დიალოგის საზაფხულო სკოლა, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი. პროფესორი მანანა ითონიშვილი: მასტერკლასები ხულოს დრამატული თეატრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა. პროფესორი ნინო მხეიძე: კინოჟურნალების მომზადება, კინოფილმების პრეზენტაციები ფესტივალებზე. პროფესორი ლევან ხეთაგური მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში „კულტურის ანტრეპრენიორული მართვა“ (უტრეხტის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები) და „გლობალიზაცია და კულტურა“ (ბაქოს კულტურის უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი), ასევე, ელიას გენერალურ ასამბლეაში (ვენა ავსტრია), ევროპის თეატრების ქსელის გენერალურ ასამბლეაში (ზაგრები ხორვატია), ევროკომისიის საერთაშორისო (ბრიუსელი) და აღმოსავლეთ თანამშრომლობის (თბილისი) კონფერენციებში. ინსტიტუტის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები იბეჭდებოდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. წლის განმავლობაში მომზადდა სხვადასხვა მასალა სამომავლო გამოცემებისთვის. წელს გამოიცა 2 სამეცნიერო კონფერენციის თეზისების კრებული. ინსტიტუტმა, საერთაშორისო ფესტივალ „ჰაიფესტის“ ფარგლებში, ერევნის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში მოაწყო ილიაუნის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამის სახელოვნებო თეორიასა და პრაქტიკაში პრეზენტაცია. კინომსახიობთა თეატრში ინსტიტუტმა ჩაატარა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეატრის, „გარჯენიცას“ ვორქშოფების 3-დღიანი ციკლი, რომელშიც მონაწილეობდნენ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტები და პროფესიონალი მსახიობები. ინსტიტუტის პროფესორები მონაწილეობდნენ რადიო და ტელეგადაცემებში. ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ლევან ხეთაგური არჩეულ იქნა ევროკავშირის აღმოსავლეთ თანამშრომლობის კულტურის პროგრამის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ. წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ ინსტიტუტმა პროფესორ ნინო მხეიძის შესავალი ლექციითა და უხმო ფილმებით აღნიშნა მსოფლიო კინოს საერთაშორისო დღე. გასული წლიდან ფუნქციონირებისთვის მზად არის კულტურის ვიდეოცენტრი, ერთ-ერთი უდიდესი ვიდეოარქივი საშემსრულებლო ხელოვნებაში.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## SMS-განცხადებები – 3090

● იყიდება მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. ახალაშენებული 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის ჟალუზებით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 22 კმ-ში. ბოლო ფასი 25.000 დოლარი. ტელ.: 577-47-85-55, 599-72-27-48. გიორგი.

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# რეალმა გადაწყვიტა, დორტმუნდში უნდა გაირკვეს

### რეალი – გალათასარაი 3:0

1:0 რონალდუ (9), 2:0 ბენზემა (29), 3:0 იგუაინი (73)

**რეალი**: ლოპესი, ესიენი, რამოსი, ვარანი, კოენტრაუ, ხედირა, ალონსო, დი მარია (პეპე 85), იოზილი (მოდრიჩი 80), რონალდუ, ბენზემა (იგუაინი 65)

**გალათასარაი**: მუსლერა, ებუე, კაია, ნუნკო, რიერა (ამრაბატი 83), ალთინთოფი (ბულუთი 78), მელო, ინანი, სნეიდერი (ზანი 46), ილმაზი, დროგბა

ვინც ელოდა, რომ თურქები სერიოზულ ბრძოლას გაუმართავდნენ მადრიდელებს, ძალიან გაწბილდნენ. „გალათასარაი" პირველ მატჩში ძალიან სუსტ გუნდად წარმოჩნდა, თითქოს ესპანეთის დედაქალაქში ყოველგვარი გეგმის გარეშე იყვნენ ჩასულები. მათი უფანტაზიო მოქმედება „რეალს" ყველაფერის საშუალებას აძლევდა – იმისიც კი, რომ მოედანზე დაესვენა და როგორც სურდა ისე ეკონტროლებია სიტუაცია.

მასპინძლებმა სწრაფი გოლის გატანაც მოახერხეს, უკვე ნახევარი საათის თავზე სხვაობა ორბურთიანი გახდა. მართალია, მესამეს გატანა დაუგვიანდათ, მაგრამ რომ მოენდომებიათ, ალბათ მანამდეც მოახერხებდნენ. მოკლედ, რასაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ და საპასუხო მატჩს არანაირი კითხვა და ინტრიგა არ დაუტოვეს – სტამბულში მხოლოდ სასწაულს შეუძლია „რეალი" ნახევარფინალის გარეშე დატოვოს.

მასპინძელთა შეტევებით დაწყებულ შეხვედრაში ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა. იოზილის კარგი პასის შემდეგ, დასარტყმელ პოზიციაზე დარჩენილმა რონალდუმ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მე-9 გოლი გაიტანა. ამით პორტუგალიელი შემტევი ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად გალიდერდა.

20 წუთის შემდეგ, მარჯვენა ფლანგიდან შეტევის დროს, ესიენმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს რონალდუ ვერ შესწვდა, მაგრამ საჭირო ადგილზე ბენზემა დაუხვდა და გოლი ახლო კუთხეში გაიტანა.

73-ე წუთზე, ჩაბი ალონსოს მიერ საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ, იგუაინმა თავით კარგად ითამაშა და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მესუთ ოზილი

თურქული წარმოშობის ფეხბურთელმა თავისი ისტორიული ფესვების მქონე გუნდის წინააღმდეგ ძალიან აქტიურად ითამაშა. ის უძლევბოდა მადრიდელთა ყველა შეტევას, ამწვავებდა სიტუაციებს, კარგად ანაწილებდა ბურთს, ტემპს, შეძლო საგოლე პასის გაკეთებაც.

***მატჩის შემდეგ***

**ჟოზე მოურინიუ:**

– მატჩს ძალიან სერიოზულად მივუდექით. ესპანური პრესა „გალათასარაის" უფრო ნაკლებ სერიოზულად აღიქვამდა, ვიდრე ჩვენ. ვიცოდით, რომ თურქებს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავდათ და ბრწყინვალე შეტევის ხაზი ჰქონდათ. დაცვაში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე თავდასხმაში. მეტის გატანა შეგვეძლო, მაგრამ საერთო ჯამში, მაინც კარგად ვითამაშეთ. თუკი სტამბულში გოლს გავიტანთ, „გალათასარაის" 5 ბურთის გატანა მოუწევს, ასე რომ, პირველი მატჩის შედეგი სავსებით მაკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, ფეხბურთში ბევრი მინახავს და ძნელია, რამემ გამაკვირვოს. სტამბულში თამაში საკმაოდ რთულია. დიდიე დროგბა და უესლი სნეიდერი ჩემი ოჯახის წევრები არიან, მაგრამ არა 90 წუთის განმავლობაში. ამიტომაც, მათ მხოლოდ მატჩის შემდეგ ვესაუბრე.

**ფატიჰ თერიმი:**

– არ ველოდით, რომ ანგარიში ასეთი იქნებოდა, რადგან ამ მატჩისთვის კარგად ვემზადებოდით. მსგავს შეხვედრებში შეცდომები მინიმუმამდე უნდა დაიყვანო. „რეალი" დომინირებდა და ამას ვაღიარებ. სტამბულში გაგვიჭირდება. გვინდოდა, შინ შანსით დავბრუნებულიყავით, თუმცა ეს არ მოხდა. პრინციპში, ჩემმა ფეხბურთელებმა, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. ასეთი დონის მატჩებში უნდა გავიტანოთ, როცა ამის საშუალება გვეძლევა. ემოციურად მოქმედება უნდა შევწყვიტოთ. ჩვენი შანსები რომ გამოგვეყენებინა, გოლს გავიტანდით ან შეიძლება ორსაც. პირველ ტაიმში გატანილი გოლი ბევრ რამეს შეცვლიდა. მეტოქედ გვყავდა გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს. მხოლოდ ის დამრჩენია, რომ „რეალს" მივულოცო. გუნდების ძალები თანაბარი არ იყო. ზოგჯერ ისე გამოდის, როცა არ შეგიძლიათ მიაღწიოთ იმას, რაც გსურთ. შემდეგ კვირას შევეცდებით, მოვიგოთ, მაგრამ „რეალი" ნახევარფინალთან უფრო ახლოსაა. რთულია „რეალს" ეთამაშო, როცა სამბურთიანი უპირატესობა აქვს, მაგრამ ყველაფერს ვიზამთ ამისთვის.

### მალაგა – დორტმუნდი 0:0

**მალაგა**: კაბალიერო, გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ანტუნესი, ხოაკინი, ტულალანი, იტურა, ისკო (დუდა 87), ბაპტიშტა (სანტა კრუსი 76), სავიოლა (პორტილიო 67)

**დორტმუნდი**: ვაიდენფელერი, პიშჩეკი, სუბოტიჩი, სანტანა, შმელცერი, გიუნდოგანი, კელი (ბენდერი 80), როისი (შიბერი 69), გიოტცე (კირხი 90), გროსკროიტცი, ლევანდოვსკი

პირველმა მატჩმა ვერ გაამართლა გულშემატკივრებისა და სპეციალისტების მოლოდინი. ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ამ გუნდების მატჩი უგოლოდ დასრულდებოდა. თუმცა, მხოლოდ ამ კუთხით, თორემ თავისი დაძაბულობა მაინც ახლდა და რაც მთავარია, ინტრიგა შეინარჩუნა. არც საგოლე მომენტებით ყოფილა მწირი და ამ მხრივ საქმე მოსაწყენად არ ყოფილა.

მთავარ ანტიგმირად მარიო გიოტცე უნდა შეირაცხოს, რომელმაც სამი ასპროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან. საერთოდ, ორივე მეკარემ ჩინებულად ითამაშა.

„მალაგას" სურდა საკუთარ კედლებში მოეგო, მაგრამ მანუელ პელეგრინის შეგირდებს ეს არ გამოუვიდათ. თუმცა, არც გაუშვიათ და ახლა ნებისმიერი მათი გატანილი გოლი მეტოქის მოედანზე ბონუსად ჩაეთვლებათ. ერთია, ეს ძალიან რთული იქნება, რადგან დორტმუნდელებმა წელს ყველა საშინაო მატჩი ჩემპიონთა ლიგაზე გამარჯვებით დაასრულეს.

იურგენ კლოპის გუნდმა, „მალაგას" გაცვლით მატჩიც აჯობა, მაგრამ ეს ანგარიშზე ვერ აისახა და ერთ კვირაში, გერმანელებს მოგებისთვის ბრძოლა მოუწევთ.

პირველ ტაიმში, „დორტმუნდს" გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულმა ვილი კაბალიერომ გერმანელებს ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცა. მე-2 ნახევარში, სტუმრებმა ერთი ისეთი მომენტი შექმნეს, გოლი გარდაუვალი რომ ჩანდა, მაგრამ გიოტცემ ბურთი კარს ააცილა.

თავის მხრივ „მალაგასაც" ჰქონდა მომენტები, განსაკუთრებით 2 მათგანია გამოსაყოფი – პირველ ტაიმში, სავიოლას დარტყმა გაუცუდდა, ხოლო შესვენების შემდეგ ისკოს ვაიდენფელერმა აჯობა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ვილფრედო კაბალიერო

როგორც უკვე ვთქვით, ორივე მეკარემ ჩინებულად ითამაშა და საიმედოდ გამოიყურებოდნენ. თუმცა, უფრო მეტი ხიფათი კაბალიეროს კართან იქმნებოდა და რამდენიმე დასამახსოვრებელი სეზივის გაკეთებაც მოუწია. ამიტომაც უპირატესობა მას მივანიჭეთ.

***მატჩის შემდეგ***

**მანუელ პელეგრინი:**

– ძალიან კარგი თამაში იყო ორივე გუნდისთვის, რომელბიც გოლის გატანას ცდილობდნენ. მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. „დორტმუნდი" კარგი გუნდია. მათ ოთხი გოლი გაუტანეს „აიაქსს", მადრიდში გამოირჩნენ და ასევე „სიტისთან" შეხვედრაშიც. გახსნილი მატჩი გამოგვივიდა და ნახევარფინალში გასვლა ჯერ კიდევ ორივე გუნდს შეუძლია. დორტმუნდში კარგად უნდა ვითამაშოთ. ველინგტონი და მანუელ იტურა ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან. საბედნიეროდ, დისკვალიფიკაციას გადაურჩა მარტინ დემიჩელისი. ვნახოთ, როგორ შევძლებთ ამ ორი ფეხბურთელის შეცვლას. უნდა აღვნიშნო, რომ „დორტმუნდს" ახალგაზრდა ფეხბურთელები ჰყავს, რომლებსაც კარგი ტექნიკა და სისწრაფე აქვთ.

**იურგენ კლოპი:**

– კარგად ორგანიზებულ გუნდს ვეთამაშებოდით, რომელიც ჩვენ შეტევებს სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა, ამიტომ ანგარიშით კმაყოფილი ვარ. მახარებს ის ფაქტი, რომ საკუთარ კარში გოლი არ მივიღეთ და ამავე დროს არც იმით ვარ უკმაყოფილო, რომ ვერ გავიტანეთ. ეს ფეხბურთია. შესაძლოა თუ არა იმის თქმა, რომ გამოუყენებელი მომენტების მიხედვით დავმარცხდით? სიმართლე, რომ გითხრათ ასეთი გრძნობა არ მაქვს. ვისაც ჩემპიონთა ლიგაში შორის გასვლა უნდა, არ უნდა იფიქროს, რომ მისი გზა იოლი იქნება. ტრავმები არ გვაქვს, გოლი არ გაგვიშვია, ამიტომ გავაგრძელოთ გზა.

# ზუგდიდში ცვლილებებია, ფეხბურთელებს სანქციები დაეკისრათ

ბოლო დროს საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდში" განვითარებული მოვლენები იმის მიზეზი გახდა, რომ კლუბის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ერთად დამსხდარიყვნენ, რათა არსებული პრობლემები განეხილათ.

ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა, სეზონის საგაზაფხულო ძალიან ცუდად დაიწყეს და უფრო ცუდი შედეგით, ბოლო ტურის მატჩი გორის „დილასთან" დაასრულეს. შიდაქართლელებთან დიდი ანგარიშით (0:6) მარცხმა, ზუგდიდურ კლუბში, ფეხბურთელების მიმართ სანქციების გატარებაც გამოიწვია.

ხელმძღვანელობის განმარტებით, ბევრი ფეხბურთელი, რომელიც 18-კაციან განაცხადში ხშირად ხვდებოდა დუბლშემადგენლობაში დააქვეითეს, ხოლო სათადარიგო შემადგენლობის ბევრი ახალბედა ფეხბურთელი დააწინაურეს და შესაძლოა, რამდენიმე მათგანმა სასტარტოშიც ითამაშო.

როგორც კლუბის ვებგვერდი გვამცნობს, წარუმატებელ სერიებზე, გუნდში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ, ზუგდიდელ გულშემატკივრებთან შეხვედრის სურვილი კლუბის დირექტორმა მალხაზ ჭეჟიამ და მთავარმა მწვრთნელმა ელგუჯა ქომეთიანმა გამოთქვეს. პირველად გულშემატკივრებს კლუბის დირექტორი მალხაზ ჭეჟია წარუდგა და მოკლედ ისაუბრა შეხვედრის მიზეზებზე.



**მალხაზ ჭეჟია:**

– მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველას მობრძანებისთვის. დიდი ხანი არაა, რაც კლუბის ხელმძღვანელი ვარ, მაგრამ თქვენთან შეხვედრა კლუბში მოსვლის დღიდან მქონდა დაგეგმილი. თუმცა, სამწუხაროდ გარკვეული მიზეზების გამო ეს დღემდე ვერ მოხერხდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. ჩვენი გუნდის შედეგებიდან გამომდინარე, ზედმეტია ვისაუბრო იმის თაობაზე თუ რას განვიცდით ყველანი, მაგრამ იმედი მაქვს საუბარი ჩვენს შორის გულღია იქნება და ერთობლივად დავსახავთ კრიზისიდან გამოსვლის გზებს. მე დღესაც იმ აზრზე ვრჩები, რაც ორი დღის წინ მქონდა. კლუბთან ერთად მივიღე მთავარი მწვრთნელის ელგუჯა ქომეთიანის არგათავისუფლების გადაწყვეტილება. მიუხედავად დღეს არსებული შედეგებისა, მან აუცილებლად უნდა გააგრძელოს გუნდთან ერთად მუშაობა, რადგან მიმაჩნია, რომ გუნდის დღევანდელი ჩავარდნა სამწვრთნელო შტაბს არნაირად უკავშირდება და მეიმედება ამ მდგომარეობიდან მალე გამოვალთ. კარგად იცით ყველამ, რომ ჩვენს გუნდს, სხვა კლუბებთან შედარებით მწირი ბიუჯეტი აქვს და ვერ დავიკვეხნით ამ მხრივ, როგორც თბილისის „დინამო", გორის „დილა", ქუთაისის „ტორპედო" და „ზესტაფონი". ხშირად სავარჯიშო პირობებიც კი გვიჭირს, მაგრამ ეს იმ შედეგს მაინც არ ამართლებს, რაც დღეს გვაქვს. ჩვენ მეტის მოლოდინში ვართ და იმედი ყველაფერი დალაგდება.

**ელგუჯა ქომეთიანი:**

– სამწუხაროა, რომ ერთმანეთთან შეხვედრა მძიმე ფონზე გვიწევს და ყველას ერთი მთავარი კითხვა გვაწუხებს, თუ რა არის მიზეზი ჩვენი გუნდის წარუმატებლობის? აბსოლუტურად. ყველას მივეცით თავის გამოჩენის შანსი და ბევრ მათგანს შეეძლო სასტარტოშიც დამკვიდრებულიყო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მივიღეთ უკუშედეგი, რამაც გორში განცდილი კატასტროფული მარცხის შემდეგ, მიმაღებინა გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება. მადლობას ვეუბნები ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას ნდობისთვის, რომ გუნდში მუშაობა გავაგრძელო, მაგრამ ნურავინ იფიქრებს ისე, რომ ჩემი გადადგომის გადაწყვეტილება დღის წესრიგიდან მოხსნილია, ვინაიდან მომავალში ასეთ შედეგს არავინ შეეგუება. აქედან გამომდინარე, კლუბის ხემლძღვანელობასთან ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე ფეხბურთელი დაგვესაჯა და გადაგვეყვანა დუბლშემადგენლობაში, ხოლო დუბლებიდან, ზოგიერთებისთვის მიგვეცა თავის გამოჩენის შანსი. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს არანაირი საშიშროება არ ემუქრება უმაღლესი ლიგიდან გავარდნის, არცერთ ფეხბურთელს მოდუნების საშუალებას არ მივცემთ, თავი დაიმშვიდონ. მართალია, ჩვენს გუნდს ზედა ექვსეულის შემდეგ, მთავარ მიზნად საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა და მიმდინარე წელს ევროლიგის საგზურის მოპოვება არ დაუსახავს, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ სტატისტის როლში ყოფნას არ ვაპირებდით და არც დარჩენილ ტურებში ვაპირებთ, ვინმესთვის ქულების ყულაბა ვიყოთ.

– თქვენ ახსენეთ, ფეხბურთელების დასჯაზე, რამდენ ფეხბურთელს შეეხო სანქციები და კონკრეტულად, ვინ არიან ესენი? ასევე რომელი ფეხბურთელები დაწინაურდნენ?

**ელგუჯა ქომეთიანი:**

– დასჯილებს რაც შეეხება, ამჟამად შვიდი ფეხბურთელია ამ მხრივ დასჯილი, მაგრამ შესაძლებელია აქ კორექტივები კიდევ შევიდეს და ამას მომავალ ტურში თავად ნახავთ. სათადარიგო შემადგენლობიდან კი ჩვენს, პირვე გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება ძმებს, ნიკა და იკა ქირიებს, დათა ქირიას, ლუკა კობერიძეს, კოკა საბეკიას, გრიგოლ ბერიშვილს, შახი თოლორაიას, გიორგი როგავას და კოკა ქომეთიანს მივეცით. ამ უკანასკნელის გვარმა ეჭვები არ შეგიქმნათ, თითქოს ლობირებას მოგვარეს ვუწევდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიჭი ნათესავად მერგება. დუბლების თამაშს ვინც თვალი მიადევნა საგაზაფხულო სეზონზე, ამ ახალბედა ბიჭებთან ერთად რომლებსაც ვფიქრობთ შანსი მივცეთ, ქომეთიანიც იმსახურებს. თუმცა, ღმერთმა არ ქნას და ამ ბიჭების მხრიდანაც არასათანადოდ საქმის მიდგომა თუ ვნახეთ, სანქციები იმავე წუთს ქომეთიანით დაიწყება და ჩვენგან წყალობა არცერთს არ ექნება. დასჯილებისთვის კი, კარი არავის მიუხურავს და ისინი გუნდიდან მოკვეთილი არ არიან. ვაღიარებ, რომ ამ ხალხში ნიჭი და პოტენციალი ბლომად არის, მაგრამ ისინი სათანადო სპორტულ ფორმაში უნდა შევიდნენ, რაც მათ ძირითადში დაბრუნების საშუალებას მისცემს.

– მეორე ეტაპზე გუნდი საკმაოდ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, „დილას" წინააღმდეგ კი ვერ ვნახეთ ირაკლი ქობალია?

**ელგუჯა ქომეთიანი:**

– გადაჭრით ვიტყვი, რომ ირაკლი ქობალია ამჟამად „ზესტაფონშია" და რამდენადაც ვიცი, ის უკვე ამ კლუბის წევრი ხდება. დასანანია გუნდიდან ასეთი ფორვარდის წასვლა, მაგრამ მას მაისის ბოლოს ისედაც უმთავრდებოდა კონტრაქტი და გუნდიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ბევრ თქვენგანს გაუჩნდება კითხვა, ხომ არ აჯობებდა ქობალია მაისის ბოლომდე აქ დარჩენილიყო და ჩვენს გუნდს დახმარებოდა? ფეხბურთელისთვის, რომელსაც გუნდიდან წასვლა ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა, უმჯობესი იქნება, აქედანვე შეეწყოს იქაურ გარემოს. იცით, რომ წინა სეზონში მიღებულმა ტრავმამ მისი ტრანსფერი ამავე კლუბში შეაჩერა, ხოლო როცა მომჯობინდა ჩვენ ის თურქეთშიც ვიახლეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ის ანთალიაშიც დაგვიშავდა და ამ ეტაპზეც ვერ იყო საუკეთესო ფორმაში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახალი გარემო მისი განვითარებისთვის საუკეთესო ვარიანტია. გვყავს ახალწვეული შემტევი ნახევარმცველი ნუკრი გოგოხია, რომელსაც ვაკვირდებით კარგა ხანია. ტრავმის გამო, ამ ფეხბურთელს ბევრი დრო გაუცდა, თუმცა თანდათან ის ფორმაში შედის და დროს ამ სეზონის ბოლომდე მივცემთ.

შეხვედრაზე, რომელმაც საათ-ნახევარი გასტანა, არაერთი პრობლემატური საკითხი მოიცვა, გულშემატკივრები სტადიონის საკითხითაც დაინტერესდნენ. ყველამ უწყის, რომ „ზუგდიდს" დღეისათვის საკუთარი სტადიონი არ გააჩნია და გუნდი განმუხურში თამაშობს. ინფრასტქრუტურულ საკითხებზე კლუბის დირექტორმა ისაუბრა.

**მალხაზ ჭეჟია:**

– გუნდს, როგორც იცით საკუთარი ბაზა არ გააჩნდა და აქამდე „ბაიას" ბაზაზე ვარჯიშობდა. დღეისათვის, შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ რუხის ბაზა, სადაც გუნდი ემზადება და მიდის მუშაობა, ის გავხადოთ ნორმალურ საფეხბურთო კომპლექსად. ვიდრე ზუგდიდს ნორმალური, თანამედროვე სტადიონი ექნება, მანამდე გვაქვს ადგილობრივი მთავრობისგან პირობა, რომ ქალაქიდან არც თუ შორს მდებარე ზედა ეწერის სტადიონი მოვიყვანოთ იდეალურ ფორმაში. იქ არის შესაძლებლობა, რომ ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებს ვუმასპინძლოთ. ახალი სტადიონის აშენების შემდეგაც, ზედა ეწერის სტადიონი ჩვენი კლუბისთვის მაინც უდიდესი შეანაძენი იქნება, სადაც დუბლები და ჭაბუკთა ლიგის გუნდები, თამაშებთან ერთად, ნორმალურ ვარჯიშებს ჩაატარებენ, თუმცა ეს სამომავლოდ.

გულშემატკივრები, ფანკლუბის საკითხებსაც შეეხნენ. კერძოდ, ერთ-ერთმა დასვა კითხვა თუ რატომ არ იმყოფებოდნენ შეხვედრაზე ფანკლუბ „მგლების" წარმომადგენლები (ზუგდიდში ორი ფანკლუბია „აბრაგები" და „მგლები"). ამ თემაზე, ჟურნალისტებს და შეკრებილებს, „ზუგდიდის" გულშემატკივართა მეკავშირე ოფიცერმა მერი შენგელაიამ უპასუხა.

**მერი შენგელაია:**

– ჩვენ მოწვევა ყველას გავუგზავნეთ და სრულიად გაუგებარია, ფანკლუბ „მგლების" წარმომადგენლები შეხვედრაზე რატომ არ იმყოფებიან. ოფიციალურად კი, ჩვენ ფანკლუბი „აბრაგები" დავარეგისტრირეთ. თუმცა, მეორე მხარესაც ჩვენი მეგობრები არიან და მათ უფლება აქვთ, ისე როგორც ნებისმიერს, საკუთარი ქალაქის გუნდს ნებისმიერი ფორმით უქომაგონ. მაინც მიმაჩნია, რომ ორივე ფანკლუბის გაერთიანება ყველაზე საუკეთესო ვარიანტია და მეიმედება, ეს ასეც მოხდება.

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| მალაგა-დორტმუნდი | 0:0 |
| რეალი-გალათასარაი | 3:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| სამპდორია-ინტერი | 0:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 30 | 21 | 5 | 4 | 59:19 | 68 |
| 2.ნაპოლი | 30 | 17 | 8 | 5 | 55:29 | 59 |
| 3.მილანი | 30 | 17 | 6 | 7 | 53:32 | 57 |
| 4.ფიორენტინა | 30 | 15 | 6 | 9 | 54:37 | 51 |
| 5.ინტერი | 30 | 15 | 5 | 10 | 47:39 | 50 |
| 6.ლაციო | 30 | 15 | 5 | 10 | 39:36 | 50 |
| 7.რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 60:51 | 47 |
| 8.კატანია | 30 | 13 | 6 | 11 | 40:37 | 45 |
| 9.უდინეზე | 30 | 10 | 12 | 8 | 38:38 | 42 |
| 10.პარმა | 30 | 10 | 8 | 12 | 39:39 | 38 |
| 11.კალიარი | 30 | 10 | 8 | 12 | 37:49 | 38 |
| 12.სამპდორია | 30 | 10 | 7 | 13 | 35:35 | 36 |
| 13.ბოლონია | 30 | 10 | 6 | 14 | 39:38 | 36 |
| 14.ტორინო | 30 | 8 | 12 | 10 | 37:39 | 35 |
| 15.კიევო | 30 | 10 | 5 | 15 | 31:45 | 35 |
| 16.ატალანტა | 30 | 10 | 6 | 14 | 30:42 | 34 |
| 17.ჯენოა | 30 | 6 | 9 | 15 | 31:47 | 27 |
| 18.სიენა | 30 | 8 | 8 | 14 | 31:42 | 26 |
| 19.პალერმო | 30 | 4 | 12 | 14 | 25:43 | 24 |
| 20.პესკარა | 30 | 6 | 3 | 21 | 21:61 | 21 |

**შენიშვნა:**

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

**პორტუგალია. თასი**

| | |
|---|---|
| პორტუ-რიუ ავე | 4:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| კილმანროკი-სტ.მირენი | 1:1 |

**ჩეხეთი. თასი**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-პლზენი | 2:1 |
| სიგმა-სპრატა | 2:4 |
| ლიბერეცი-ტეპლიცე | 2:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ნიუ იორკი | 82:95 |
| კლივლენდი-ბრუკლინი | 95:113 |
| ტორონტო-ვაშინგტონი | 88:78 |
| შარლოტი-ფილადელფია | 88:83 |
| ბოსტონი-დეტროიტი | 98:93 |
| მილუოკი-მინესოტა | 98:107 |

## შედეგები

| | |
|---|---|
| სან ანტონიო-ორლანდო | 98:84 |
| იუტა-დენვერი | 96:113 |
| საკრამენტო-ჰიუსტონი | 102:112 |
| გოლდენ სტეიტი-ნიუ ორლეანი | 98:88 |
| კლიპერსი-ფინიქსი | 126:101 |

**ჩოგბურთი**

**ვტა. მონტერეი**

| | |
|---|---|
| მორიტა-ვოსკობოევა | 6:4;7:6 |
| პავლუჩენკოვა-მრდეზა | 6:1;6:1 |
| რადვანსკა!უ.-ვეკიჩი | 6:4;6:1 |
| ვიკმაიერი-ნიკულესუ | 4:6;6:3;1:6 |
| ივანოვიჩი-ბაბოში | 5:7;6:3;2:6 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-პიტსბურგი | 6:1 |
| ფილადელფია-მონრეალი | 5:3 |
| ანაჰაიმი-დალასი | 5:2 |
| კალგარი-ედმონტონი | 2:8 |
| სან ხოსე-მინესოტა | 4:2 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# გორში საქველმოქმედო წარმოდგენები გაიმართება

ეკა ირემაშვილი



6 აპრილს გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით გორის კულტურის სახლში ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი გამართავს საქველმოქმედო წარმოდგენას „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა.

– სპექტაკლს, რომლის პრემიერა დევნილმა თეატრმა თბილისში 2011 წელს გამართა, ახლა ქალაქ გორში და გორის რაიონში ჩასახლებული დევნილები ნახავენ, მათ შორის სტუდენტები, საჯარო სკოლების მოსწავლეები და ისინიც, ვინც წლებია არ ყოფილან თეატრში. წარმოდგენებზე დასწრება თავისუფალია, – ამბობს გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ლექსო ვალიაური.

სპექტაკლის რეჟისორია გოჩა კაპანაძე, მხატვარი – ქეთევან ციციშვილი, ქორეოგრაფი – ნინა მახათელი. სპექტაკლში ცხინვალის ქართული თეატრის სამივე თაობის მსახიობები მონაწილეობენ.

– ცხინვალის თეატრი უკვე რამდენიმე წელია აწ უკვე ნიკოლოზ რაჭველის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრშია განთავსებული. შესაბამისად, სარეპეტიციო დრო სპექტაკლების წარმოსადგენად ცხინვალის თეატრს შეზღუდული აქვს. მიუხედავად ხელისშემშლელი ფაქტორებისა, თეატრი ახერხებს, წელიწადში რამდენიმე ახალი სპექტაკლი შესთავაზოს მაყურებელს. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ქართულ სცენას ნოდარ დუმბაძის თეატრალური სამყარო დაუბრუნა. გოჩა კაპანაძის სპექტაკლი სიკეთეს, პატიოსნებას, მიმტევებლობასა და ერთგულებას, სამშობლოსა და ახლობელი ადამიანების მიმართ ქადაგებს. მართალია, ოლღა ბებიასა და ზურიკელას სიუჟეტის ხაზს სხვა ამავე ავტორის მოთხრობების ეპიზოდებიც მიჰყვება, მაგრამ ის არ არღვევს წარმოდგენის საერთო მიზანსა და იდეას – კეთილშობილებას. ამ სპექტაკლში უარყოფითი პერსონაჟი არ არსებობს, კონფლიქტი აქ ცალკეულ პერსონაჟებს შორის კი არა, არამედ ზოგად საკაცობრიო საკითხებთან და პოლიტიკურ მოვლენებთან არის წარმოდგენილი. ერთ მხარეს სოციუმი დგას, მეორე მხარეს კი ომი, როგორც ნეგატიური მოვლენა, – განმარტავს პროექტის ხელმძღვანელი.

ეს არ არის პირველი საჩუქარი, რომელიც გორელებისთვის განხორციელდა. ორიოდე კვირის წინ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ინიციატივით გორის კულტურის სახლში გაიმართა მულტიპულტის სამყაროს თეატრის სპექტაკლის „მაშა და დათვის“ პირველი სერიის, „სურვილების ასრულების“ საქველმოქმედო წარმოდგენები, რომელსაც უფასოდ დაესწრნენ საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და საჯარო სკოლების მოსწავლეები.

– საქველმოქმედო წარმოდგენებზე მოწვეულნი იყვნენ დევნილი, უნარშეზღუდული, სოციალურად დაუცველი და ბუფერულ ზონებში მცხოვრები ბავშვები. „მაშა და დათვი“ პირველი ქართული საბავშვო თეატრალური სერიალია, რომლის წარმოდგენებიც ანშლაგებით ჩატარდა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალურ საბავშვო თეატრში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ინიციატივით კი ეს სპექტაკლი გორელმა ბავშვებმაც ნახეს, – აღნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი ლექსო ვალიაური.

# ქალთა საფეხბურთო ნაკრები კანადისკენ გზას ლიტვიდან იწყებენ

ლიტვაში გაემგზავრა საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები. ჩვენი გუნდი, 4-9 აპრილს მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის მატჩებს ვილნიუსში გამართავს. მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატი კანადაში გაიმართება და მონაწილეობას სულ 46 ქვეყანა მიიღებს. საქართველო და კიდევ შვიდი ქვეყნის დაბალკოეფიციენტებიანი გუნდები ფიფამ ცალკე დააჯგუფა და ამით, საშუალება მისცა, ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლონ.

საქართველოს ნაკრები ბ ჯგუფში მოხვდა და მისი მეტოქეები მასპინძელი ლიტვა, ფარერებისა და მონტენეგროს ნაკრები გუნდები იქნებიან. ა ჯგუფში კი, ალბანეთი, ლუქსემბურგი, მალტა და ლატვია არიან. თითო ჯგუფიდან ორი გუნდი გადის. ასე რომ, ჩვენს ნაკრებს რეალური შანსი აქვს, ჯგუფიდან გასასვლელად იბრძოლოს.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა – თეიმურაზ სვანაძემ, ვილნიუსში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა:

**მეკარეები**: ნინო ჭკუასელი (იდმანოჯა, თურქეთი), თეკლე გულორდავა (ბაია);

**მცველები:** ნინო სუთიძე (ბელედისპორი, თურქეთი), თამარ ქველიძე (კარლსრუე, გერმანია), თამარ ტატუაშვილი (იდმანურდუსპორი, თურქეთი), ნათია სხირტლაძე, თამთა მალიძე, სალომე ხუბულური, ანა ზაქაიძე (ყველა ნორჩი დინამოელი);

**ნახევარმცველები:** ნინო პასიკაშვილი (უგუნდოდ), თეონა თოდაძე (იდმანურდუსპორი, თურქეთი), ტატიანა მატვეევა (ატაშეჰირი, თურქეთი), თეონა ბაქრაძე (ბაია), მარი ბასილაძე (ნორჩი დინამოელი);

**თავდამსხმელები:** ხატია ჭყონია (კარადენიზერელისპორი, თურქეთი), ლელა ჭიჭინაძე, თამარ კვალიაშვილი (ორივე ნორჩი დინამოელი), ანა ჩემინავა (ბაია);

შესარჩევი მატჩების კალენდარი კი, ასეთია:

4 აპრილი: ფარერები-მონტენეგრო; საქართველო-ლიტვა;

6 აპრილი: საქართველო-მონტენეგრო; ლიტვა-ფარერები;

9 აპრილი: ფარერები-საქართველო; მონტენეგრო-ლიტვა;

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# როგორი უნდა იყოს თანამედროვე სათეატრო სივრცე?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

***– რა პროექტებს ახორციელებს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი?***

– ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს პროექტს ინტერდისციპლინური კვლევა. მის ფარგლებში ჩატარდა კონფერენციები. მათ შორის, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 7 დოქტორანტი; პროფესორებისა და მკვლევრების პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. მასში მონაწილეობდა 5 პროფესორი და 2 მკვლევარი. კვლევაში ჩართულია მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჯგუფი – 2 მაგისტრანტი და 3 დოქტორანტი თეატრის გამოკითხვებში, საერთოდ ინსტიტუტის კვლევებში 8 მაგისტრანტი და 7 დოქტორანტი – ქართული თეატრების გამოკითხვისთვის მომზადდა სპეციალური კითხვარი ანკეტა. დოქტორანტებისა და მკვლევარების მოხსენებები წარმოდგენილ იქნა კიევისა და ვილნიუსის საერთაშორისო კონფერენციებზე. პოლონურ ფონდ ბორდერლენდთან და ნიდერლანდურ ფონდ „კავკასიასთან“ ერთად ინსტიტუტმა დააფუძნა და ჩაატარა კულტურის დიალოგის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, სეინეში პოლონეთი, რომლისთვისაც სრული დაფინანსებით უნივერსიტეტის 2 პროფესორი, 3 მაგისტრანტი და 3 დოქტორანტი მონაწილეობდა. ინსტიტუტში ჩატარდა 6 მრგვალი მაგიდა, აქედან 3 დაიბეჭდა, 3 ბეჭდვაშია, დაიდგა მარმარინოსის „რომეო და ჯულიეტა“ კინომსახიობთა თეატრში, განხილულ იქნა ქართული დრამატურგიის საკითხები, განხორციელდა ქართულ-ინგლისური პროექტი „შემეხე“ რუსთაველის თეატრში, შეიკრიბნენ კულტურის მოღვაწეები ბათუმში და იმსჯელეს როგორც თანამედროვე ქართული თეატრის პრობლემებზე, ასევე თანამედროვე ქართული კინოს პრობლემებზე; დოქტორანტ დავით მღებრიშვილის სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ დაიდგა მუსიკისა და დრამის თეატრში; ჩატარდა ირლანდიელი პროფესორის ბეკეტის ცენტრის დირექტორის ბრაიან სინგლტონის ლექციები, ასევე პოლონური მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეატრის გარჯენიცას მასტერკლასები, ნოელ ვიტსის (გაერთიანებული სამეფო) და ხიპ ჰაგორტი (ნიდერლანდების სამეფო) ლექციები; დასრულდა და ინტერნეტში განთავსდა მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მეორე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებების კრებული ინგლისურ ენაზე, დაიბეჭდა თეზისები მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მესამე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებებისა და პროფესორებისა და მკვლევრების პირველი რესპუბლიკური კონფერენციის მოხსებებზე; გამოსაცემად მზადაა სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევების ჟურნალის პირველი ნომერი, რომელშიც თავმოყრილია ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის, მკვლევარების და დოქტორანტების შრომები; ლევან ხეთაგურის წიგნი „მითი, იგავი და ისტორია ინგლისურ დრამაში“; ხიპ ჰაგორტის წიგნის თარგმანი „კულტურის მენეჯმენტის ანტრეპრენიორული სტილი“; მაგისტრანტთა და დოქტორანტთა მესამე საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული; პროფესორების და მკვლევარების პირველი რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებების კრებული. ინსტიტუტის მკვლევრებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა, საშემსრულებლო ხელოვნების შესწავლის მიზნით, შემუშავებული ანკეტის საფუძველზე აწარმოეს თეატრების გამოკითხვები საქართველოს მასშტაბით. მათზე 2 მაგისტრანტი, 2 დოქტორანტი და 2 მკვლევარი მუშაობდა. ინსტიტუტის პროფესორებს ლექციები ჰქონდათ პოლონეთში, სომხეთში, ჩინეთსა და უკრაინაში. მომზადდა ერთობლივი კვლევების გეგმა შემდეგი წლებისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან: გერმანია (დრეზდენის თეატრის კვლევის ინსტიტუტი – ქართულ- გერმანული თეატრალური ურთიერთობები), ინგლისი (ლიდსისი უნივერსიტეტი – ქართულ-ინგლისური თეატრალური ურთიერთობები), პოლონეთი (იაგელონიის უნივერსიტეტი – ავანგარდი აღმოსავლეთ ევროპაში), ლიტვა (თეატრის, მუსიკისა და კინოს აკადემია – სათეატრო კვლევა და კულტურის მენეჯმენტი).

# ხელოვნების მუზეუმში კონცეპტუალური გამოფენა გაიხსნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტორი, რომ ეს ნამუშევრები ორი ავტორის – იდეათა ერთობლიობით შეიქმნა, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

საგანმანათლებლო მიზნებისთვის პროექტის მსვლელობის პერიოდში ავტორები ავტორები კონსტანტინე მინდაძე (არტისტი, კურატორი და ინიციატორი) და მანუჩარ ოქროსცვარიძე (არტისტი და ინიციატორი) ჩაატარებენ მასტერკლასებს და გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სტუდენტებს.

– კონსტანტინე მინდაძე მულტიდისციპლინალური ვიზუალ არტისტია. სწავლობდა გერიტ რითფელდის აკადემიაში, აგრეთვე ამსტერდამის გრაფიკულ ლიცეუმში, ნიდერლანდებში. არის ცნობილი ჰოლანდიური არტ საზოგადოების „არტი ეტ ამიჩიტაეს“ წევრი. კონსტანტინე მინდაძე საქართველოს თანამედროვე არტ სივრცის აქტიური წარმომადგენელია. მისი შემოქმედება ასოცირებულია მინიმალიზმთან და კონცეპტუალურ არტთან. ხელოვანის ნამუშევრები აქტიურ-სივრცულ და ხმოვან ინსტალაციებს, სკულპტურას, ფერწერას, გრაფიკას, ფოტოგრაფიასა და ვიდეო არტს მოიცავს. კონსტანტინე მინდაძეს არაერთ ინტერნაციონალურ ჯგუფურ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული. იგი ავტორია მრავალი პერსონალური პროექტების – საქართველოში, ევროპასა და აშშ-ში. მისი ნამუშევრები არაერთ საერთაშორისო კატალოგშია შეტანილი, აგრეთვე დაცულია სხვადასხვა კერძო კოლექციაში.

ბოლო წლებში მას მეტად იცნობენ სხვადასხვა მედიუმში შესრულებული მასშტაბური ინსტალაციებით. სინთეტური სამყაროს სტრუქტურა, მენტალური და ბიოლოგიური რეაქციები, ცხოვრების ციკლი და წარმავლობა, ეგზისტენცია და დროებითობა, სიყვარული და დანაკარგები, გლობალიზაცია და ტექნოლოგიები, შიში და რელიგიები, კონსუმერიზმი და კომერცია, ისტორიული ფაქტები და ხრწნის პროცესი ის ძირითადი თემებია, რომელთა კვლევაც მისი პროექტების განმსაზღვრელია. ამ პროექტების უმეტესობა დამთვალიერებელთან ხანგრძლივ კომუნიკაციას გულისხმობს, ისინი დროშიც ვითარდებიან, ზოგჯერ ორგანული მასალებისა თუ ქიმიური ნაერთების ტრანსფორმაციას აჩვენებენ. უახლესი განხორციელებული სოლო პროექტები წარმოდგენილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმში და ჯანაშიას სახელობის ნაციონალურ მუზეუმში. ცხოვრობს და მუშაობს ამსტერდამსა და თბილისში.

რაც შეეხება მეორე ხელოვანს, ეს მანუჩარ ოქროსცვარიძეა, რომელიც 90-იანების დასასრულს არტ მხატვართა ერთერთი საინტერესო წარმომადგენლად არის მიჩნეული. მისი აქტიურობის სფერო მოიცავს ფერწერას, გრაფიკას, ინსტალაციას, გამოყენებით ხელოვნებასა და დიზაინს. 1994 წლიდან მონაწილეობს ლოკალურ და საერთაშორისო ჯგუფურ და ინდივიდუალურ პროექტებში. უახლოეს წლებში მისი შემოქმედების ძირითადი მიმართულებაა მინიმალისტური ნახატი და ობიექტი, რომელსაც თავად „მოკლე ვიზუალურ მესიჯებად“ და „ესთეტიკურ იდეოგრაფიებად“ აფასებს. იყო ჟურნალ „შთაბეჭდილების“ პროექტის კონცეფციის ავტორი და თანადამფუძნებელი. ბოლოდროინდელი პროექტებიდან აღსანიშნავია კონცეპტუალური გრაფიკის გამოფენა „მაკულატურა“ და შარშანდელი ინდივიდუალური პროექტი „ექსისტერ“. ეს პროექტები ინსპირირებული იყო ეგზისტენციალური და სოციალური თემატიკით და ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია, დამოკიდებულება სოციალურ სტატუსთან, დროსთან, სტაბილურობის შეუძლებლობის ფაქტთან, შინაგან და გარეგან კონფლიქტებთან. ხელოვანი ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, – განმარტავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამოფენა 18 აპრილამდე გაგრძელდება.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 2. იტალიური ლიქიორი; 3. აზრთა გაცვლა-გამოცვლა; 4. მდინარე ტოკიოში; 5. უბანი ძველ თბილისში; 8. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 9. ფარიკაობის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 13. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 16. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 17. ირმის ტყავებით დახურული ჩუქჩების ქოხი; 19. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 20. ქართველი ჰემატოლოგი, აკადემიკოსი.

**თარაზულად**: 6. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 7. პოლიციელის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 8. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 10. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 15. განცალკევებული ოთახი ახლად დაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 21. ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა; 22. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 23. ზაფხულის ერთ-ერთი თვე; 24. ტკბილეულის დამზადების ოსტატი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალმირა; 2. „ბაზილიკა“; 3. „ამარკორდი“; 4. ყურძენი; 5. პარლამენტი; 10. „ცერული“; 11. სერფინგი; 12. ლუიდორი; 13. ყარსალი; 16. ბატერფლაი; 17. ვოდევილი; 19. „ახმეტელი“; 21. ეკერი; 23. „ალეკო“.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. „სურჩინა“; 8. კიტელი; 9. სკანსენი; 14. „ლაშარელა“; 15. ამირეჯიბი; 19. „ლეგია“; 20. ნოკაუტი; 22. ქიაჩელი; 24. სკოპიე; 25. ელექსირი; 26. ლოკალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სლალომი; 2. აპოთემა; 3. ბაჰრეინი; 4. გუთანი; 5. ჰორმონი; 8. ჰიგიენა; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13. ანაკლია; 16. ინტერესი; 17. კარწახი; 19. „ოკენცე“; 20. საუზმე.

**თარაზულად:** 6. კლეოპატრა; 7. პუნსონი; 8. „ჰარირა“; 10. ბონდერი; 11. მონე; 14. პანთეონი; 15. როლგანგი; 18. ანდები; 21. კიზერი; 22. ვერნა; 23. ეოლითი; 24. ლითოსფერო.

# სავალუტო ფონდი: კვიპროსის გადარჩენის გეგმა დიდ ძალისხმევას მოითხოვს




კვიპროსი საერთაშორისო სავალუტო ფონდს 10 მილიარდი ევროს დახმარების მიღების სანაცვლოდ ეკონომიის სხვადასხვა ზომებს დასთანხმდა. ამ თანხის მეათედის გამოყოფის შემდეგ სავალუტო ფონდმა განაცხადა, რომ ისინი ქვეყნის მოსახლეობისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვენ.

„ბი-ბი-სის" ცნობით, ქვეყნის ახალმა ფინანსთა მინისტრმა ხარის გეორგიადისმა განაცხადა, რომ ის აპირებს შეასრულოს აღებული ვალდებულებები: „პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, ამასთან დიდია ჩვენი მოსახლეობის მოლოდინიც. ჩვენ განვაცხადეთ რომ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის არაფერზე დავიხევდით უკან. თქვენი ხელმძღვანელობით, მე დარწმუნებული ვარ რომ გავიმარჯვებთ".

კვიპროსის მოსახლეობაში ყველაზე მეტ კითხვას ქვეყნის ორი უმსხვილესი ბანკის რეკონსტრუქცია იწვევს, იქიდან გამომდინარე რომ ეს პროცესი მსხვილ დეპოზიტორებს მნიშვნელოვნად აზარალებს. თუმცა, სავალუტო ფონდის მტკიცებით, კვიპროსის ბანკების დეპოზოტორების 95%-ს ეს ზომები არ შეეხება, ვინაიდან მათი დეპოტიზი 100 000 ევროს არ აღემატება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი აქვს მინიჭებული. სსფ მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გადაცვლის კურსების და საგადამხდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით. ის ასევე საჭიროებისამებრ სთავაზობს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას განვითარებად ქვეყნებს.

# ე.წ. „ექვსეული" ოფიციალური თეირანისგან კონკრეტულ პასუხებს ელოდება



ოფიციალური თეირანი და ე.წ. „ექვსეულის" მოლაპარაკების შედეგები, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პასუხს გასცემს თეირანი „ექვსეულს" მათ მიერ თებერვალში წარმოდგენილ შეთავაზებაზე. მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი ამ კვირას გაიმართება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას „როიტერი" ამერიკელ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით ანონიმურად ავრცელებს.

„მოლაპარაკებების შედეგები დამოკიდებულია, იმაზე ირანი თებერვლის ჩვენს შემოთავაზებაზე თუ რა პასუხს გასცემს. იმედს ვიტოვებთ, რომ ოფიციალური თეირანს კონკრეტულ პასუხი ექნება", აღნიშნა ანონიმურმა ოფიციალურმა პირმა, როიტერთან საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ 26-27 თებერვალს შეხვედრა გაიმართა, სადაც მონაწილეობას ირანი და „ექვსეულის" წევრები ღებულობდნენ. ამ შეხვედრაზე ირანს დაწესებული სანქციების შემსუბუქება შესთავაზეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას შეწყვეტს. თავის მხრივ ამერიკა და მისი მოკავშირე ქვეყნები შიშობენ, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რასაც ირანი კატეგორიულად უარყოფს.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ლილი ნურნუმია-მიქავა

მძიმეა ხვედრი თქვენი, ლილი დეიდა!

ვწუხვართ, განვიცდით, რომ შორიდან ვღვრით ცრემლს. ვერ წარმოვიდგენდით, თუ ასეთი დრო დაგვიდგებოდა, წუთისოფლიდან ბოლო დღეს რომ ვერ გაცილებთ, მავანთა მიზეზის გამო.

ლილი დეი! გვაპატიებს თქვენი სული ყოველივეს. თქვენი სული ხომ ამიერიდან, უფლის ნებით, მარადისობის ზეციურ სასუფეველში დამკვიდრდება.

ვილოცებთ, ღვთის სახლში შევალთ და თქვენი სახელით სანთელ-საკმეველს დავანთებთ.

ნათელი გფენოდეს!

*შენი დისშვილები ლიანა და ლეილა ბაღბაიები*

გარდაიცვალა

### ქეთევან გრიგოლის ასული გველესიანი

პანაშვიდი: 4, 5 აპრილს, 17 საათზე.

დაკრძალვა: შაბათს, 6 აპრილს, 14 საათზე.

მისამართი: კეკელიძის ქ.№18, I სადარბაზო, VI სართული, ბინა 12.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# არგენტინაში სამდლიანი გლოვა გამოაცხადეს



არგენტინაში წყალდიდობის შედეგად 54 ადამიანი დაიღუპა. ქვეყნის დედაქალაქ ბუენოს აირესში დაღუპულია რვა ადამიანი. გავრცელებული ინფორმაციით, ბუენეს-აირესში წყლის სიმაღლემ 1,5 მეტრს გადააჭარბა.

დაღუპულთაგან ორი მოქალაქე საკუთარ მანქანაში წყლის შედინების შედეგად დაიხრჩო. წინასწარი ინფორმაციით 350 000 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, უხვმა ნალექმა ათასობით ავტომანქანა მწყობრიდან გამოიყვანა.

ქალაქის ხელისფულების განცხადებით მსგავსი ნალექი წლების განმავლობაში არ დაფიქსირებულა. ამ დრომდე მიმდინარეობს მოსახლეობის ევაკუაცია და ზარალის სრული აღწერა უახლოეს დღეებში მოხდება.

მეტეოროლოგების განცხადებით, ასეთი უხვი ნალექი ქვეყანაში ბოლო ასი წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

ქვეყნის ხელისუფლებამ წყადიდობის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა მწუხარებას 2013 წლის აპრილში არგენტინის რესპუბლიკაში მომხდარი წყალდიდობის გამო, რომელმაც ათობით ადამიანის სიკვდილი გამოიწვია და ზიანი მიაყენა ქ. ბუენოს-აირესსა და ქ. ლა-პლატას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს არგენტინის მთავრობასა და არგენტინელ ხალხს, ასევე დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს.

# რუსეთის მოსახლეობის 73% კორუფციის გამო პასუხისმგებლობას პუტინს აკისრებს



რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის უმრავლესობა (73%) ფიქრობს, რომ ქვეყანაში არსებული კორუფციის მასშტაბების გამო სრული ან მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა პირადად პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს ეკისრება.

როსბალტის ცნობით, შესაბამისი კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია „ლევადა-ცენტრმა" მოამზადა.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 63% მხარს უჭერს იმ ბლოგერების და ჟურნალისტების საქმიანობას, რომლებიც კორუმპირებული ჩინოვნიკების გამოვლენაზე მუშაობენ.

ვლადიმერ პუტინი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2000-2008 წლებში. ამ პოსტზე შეცვალა ბორის ელცინი 1999 წლის 31 დეკემბერს. 2008 წლის 8 მაისს გახდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კვლავ დაბრუნდა პრეზიდენტის პოსტზე.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ჩვილ ბავშვთა სახლებში ცუდი კვებაა

მერი ნამორაძე

სახალხო დამცველის ანგარიში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში ადამიანის უფლებებს ეხება, ყურადღება კვების ორგანიზების საკითხზეც ამახვილებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 13 რეზიდენტულ დაწესებულებაში განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჩვილ ბავშვთა სახლების მენიუების შეფასებისას შესამჩნევი იყო ხილის ნაკლებობა. ივნისის თვეში ბავშვებს ეძლეოდათ ვაშლი 150-200 გრამის ოდენობით, ისიც მხოლოდ 5 დღის განმავლობაში, ხოლო თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მხოლოდ 3 დღე. კვების მენიუს ერთობლივად ადგენენ ექიმი, ბუღალტერი, ადმინისტრატორი და ფილიალის დირექტორი. ზედამხედველობა ხორციელდება საკვების ულუფის გაცემაზე, თუმცა არ აღირიცხება რეალურად მიიღო თუ არა ბავშვმა ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების ასაკობრივად დადგენილი ნორმა. ფაქტიურად შეუძლებელია იმის დადგენა, იღებს თუ არა არასრულწლოვანი საჭირო რაოდენობის საკვებს.

ჩვილ ბავშვთა სახლებში განმეორებითმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების გაუმჯობესების შესახებ გათვალისწინებული იყო მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომელიც შედარებით ადვილად შესასრულებელი იყო. დაწესებულებებში დაფები და დანები მარკირებული იყო და ნაგავი სატერფულიან სათლში გროვდებოდა. თუმცა, სამზარეულოში დასაქმებული პერსონალის ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების ჟურნალების წარმოება კვლავ არ ხორციელდებოდა. მონიტორინგის მომენტში დაწესებულებაში არ იწარმოებოდა მზა საკვების შეფასების და კონტროლის ჟურნალი, რადგან ადმინისტრაციის გადმოცემით არ არსებობდა ასეთი მოთხოვნა სააგენტოს მხრიდან.

რაც შეეხება სკოლა-პანსიონებში კვების ორგანიზებას, ახალციხის სკოლა-პანსიონატის მენიუები არ იყო მრავალფეროვანი. აშკარა იყო ჭარბი ნახშირწყლოვანი კვება – ყოველდღიურად ვერმიშელის ან მაკარონის სუპი, 600 გრამის ოდენობის პურის მოხმარებით. ჭიათურის სკოლა-პანსიონატში მენიუ არასრულყოფილი იყო და არ შეიცავდა ხილს. ერთი ბენეფიციარი დღეში 500 გრამ პურს მოიხმარდა. ასეთივე ტენდენცია დახვდა მონიტორინგის ჯგუფს ქუთაისში. კვების ბლოკების ჰიგიენური მდგომარეობა არასახარბიელო აღმოჩნდა. მონიტორინგის დროს ზოგიერთ პანსიონში ახალი დასრულებული იყო სარემონტო სამუშაოები კვების ბლოკსა და საწყობებში, თუმცა ისინი საკვები პროდუქტების უსაფრთხოდ მომზადებისათვის აუცილებელ პირობებს ვერ აკმაყოფილებდა.

საქართველოს რეგიონებში არსებულ სკოლა-პანსიონებს წყალი ხშირად გრაფიკით მიეწოდებათ, ან სარგებლობენ აუზში მომარაგებული წყლით. თუმცა, მონიტორინგის პროცესში ვერც ერთ პანსიონატში ვერ იქნა მოძიებული სასმელი წყლის ვარგისიანობის შეფასების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

სკოლა-პანსიონატებში საკვები პროდუქტების შეძენა ხდება სკოლის დირექტორის მიერ ინდმეწარმეებთან ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც დარღვეულია შეძენისა და შენახვის პირობები. ჭიათურის სკოლა-პანსიონატის საწყობში ერთად ინახებოდა მშრალი პროდუქტი, ბოსტნეული და ძველი ავეჯი. დაფიქსირდა არამარკირებული პროდუქტები დამზადების თარიღის გარეშე. ახალციხეში საწყობი ნესტიანი, ძველი და სარემონტოა, დარღვეულია მარკირებისა და საკვები პროდუქტების შენახვის წესი. ქუთაისში ახლადგარემონტებულ საწყობში არ არის ვენტილაცია და არც მცირე ზომის სარკმელი ბუნებრივი ვენტილაციისთვის, ამიტომ ბოსტნეული რომ არ გაფუჭდეს ინახება მაცივარში. მიღება-ჩაბარების აქტებში არ ხდება ასევე საკვების ვარგისიანობის მითითება.

სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში მონიტორინგის პროცესის განმავლობაში ექსპერტები მუდმივად გამოთქვამდნენ შეშფოთებას ბავშვთა არასათანადო ნუტრიციული სტატუსის გამო. რამდენიმე ბავშვს აღენიშნებოდა უკიდურესად მცირე წონა, რაც თავის მხრივ გამოხატული იყო ბავშვის ფუნქციონალური სტატუსის გაუარესებაში. 8 წლის ბ.ი-ს წონა მონიტორინგის მომენტში აღმზრდელების გადმოცემით, 12 კილოგრამი იყო, თუმცა, ექსპერტების ვიზუალური შეფასებით ბავშვი განიცდიდა პროტეინებით გამდიდრებული საკვების მნიშვნელოვან ნაკლებობას. ადმინისტრაციის განცხადებით, ბავშვს დაწესებულებაში შემოსვლისას საკმაოდ კარგი წონა ჰქონდა – დედა ბავშვს ჭამის დროს ცხვირზე ხელს უჭერდა და ასე აიძულებდა მიეღო საკმარისი საკვები. ადმინისტრაციამ ეს მეთოდი ვერ გაიზიარა, ამიტომ ხშირად ხდებოდა, რომ ბავშვი ვერ ან არ იღებდა საკმარის საკვებს. ზონდით კვების საკითხი კვების პროცესზე პასუხისმგებელ პირს არასოდეს დაუყენებია, თუმცა ექსპერტებთან აცხადებდა, რომ ბავშვი იღებდა მისი ასაკისთვის შესაბამის ნუტრიციულ ნორმას. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ბ.ი. 300 მილიგრამი საკვები პორციის 70-80 მგ-ის მიღების შემდეგ ვეღარ იღებდა მას და უარს აცხადებდა ჭამაზე. ძიძის გადმოცემით, ყოველი კვების დროს ასე ხდებოდა.

## TV პროგრამა

პარასკევი
5 აპრილი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 18.30 ფეხბურთი. ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო — სლოვაკეთი (პ/რ „ოლიმპიკიდან„) შესვენებაზე: „მოამბე„ 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „შეხვედრა ვენერასთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 9 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 3 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „შემზარავი წინათგრძნობა„ (ს.ბულოკი) 01.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი
კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ანა და მეფე„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 მოკ/ფ „უსახელო უფლისციხელი„ 11.10 დოკ/ფ „კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე„ I ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ბრავო,ალბერ ლოლიშ„ 13.40 კონცერტი - ნიკა რაჭველი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ „ვალსი პეჩორაზე„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „როგორ ვიცხოვრო უშენოდ„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6557 | ევრო — 2,1228 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5021 | 100 რუსული რუბლი — 5,2743 |

## ამინდის პროგნოზი 5 აპრილისთვის




# ხელოვნების მუზეუმში კონცეპტუალური გამოფენა გაიხსნება

ეკა ირემაშვილი




5 აპრილს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება კონცეპტუალური გამოფენა სახელწოდებით „ჰიპერპოზიცია – ინსტალაციიდან სკულპტურამდე“.

– რა ადგილი უკავია გარდაქმნებს ვიზუალურ ხელოვნებაში და რამდენად საინტერესოდ შეიძლება იყოს აღქმული მისი ტრანსფორმაცია. პროექტი „ჰიპერპოზიცია“ მოიცავს იმ ვიზუალურ შედეგებს და ფაზებს, რომლებიც მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ნაჩვენები იქნება სივრცული ინსტალაციიდან, იმავე მასალის გამოყენებით, პერმანენტულ სკულპტურაში გარდასახვის ხელოვნება. იდეაში წარმოდგენილია რეალობის ორი მხარის მეტაფორა და მისი ტრანსფორმაცია მიკრო და მაკრო სივრცეებში. ამჯერად ხაზი ესმევა არაცნობიერისა და ცნობიერის, შემთხვევითობისა და გააზრებულობის, შიდა კომპლექსურობისა და გარე სისადავის სინთეზს და მათ საბოლოო გარდაქმნას ერთიან მხატვრულ ფორმაში. წარმოდგენილი ნამუშევრები დამთვალიერებლებს სივრცის ახლებურად გააზრებასა და იმ პროცესების მხატვრულად გაანალიზების საშუალებას მისცემს, რომელიც აზროვნებას, მეხსიერებას, გაცნობიერებასა და იდენტიფიკაციას უკავშირდება. ეს ყველაფერი კი წარმოადგენს ადამიანის აქტივობის, თვითიდენტიფიკაციისა და თვითრეალიზაციის, რეალობის ობიექტური აღქმისა თუ აბერაციების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან მოტივს. პროექტს აგრეთვე საინტერესოს ხდის ის ფაქ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მოზარდ მაყურებელთა თეატრში „კუკარაჩას“ პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

**5 აპრილს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი პრემიერას გამართავს. წარმოდგენილი იქნება ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ მიხედვით დადგმული ამავე სახელწოდების სპექტაკლი, რომლის რეჟისორიც შალვა გაწერელიაა. სპექტაკლი რეჟისორმა ოთარ ბაღათურიამ აღადგინა.**




– სპექტაკლი ეძღვნება „კუკარაჩას“ დამდგმელი რეჟისორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატის შალვა გაწერელიას ხსოვნას. მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე „კუკარაჩა“ მესამედ იდგმება. პირველად 1986 წელს მისი სცენური ვერსია შალვა გაწერელიამ განახორციელა. 1992 წელს თეატრის სცენაზე „კუკარაჩა“ ხელმეორედ განახლდა. ახლა კი უკვე მესამედ, ორი შემადგენლობით წარდგება ქართველი მაყურებლის წინაშე. სპექტაკლში დაკავებულნი არიან როგორც ძველი თაობის, ასევე ახალგაზრდა მსახიობები, შალვა გაწერელიას მოწაფეები. საგულისხმოა, რომ სპექტაკლის აღდგენაზე მომუშავე რეჟისორი ოთარ ბაღათურია 1986 წელს შალვა გაწერელიასთან ერთად „კუკარაჩას“ დადგმაზე მეორე რეჟისორის რანგში მუშაობდა. გარდა ამისა, სპექტაკლში თამაშობდა მურტალოს როლს (თეატრალურ სცენაზე მან ერთ-ერთი საუკეთესო მურტალოს სახე შექმნა), – აღნიშნულია მოზარდ მაყურებელთა თეატრის განცხადებაში.

სპექტაკლის პრემიერისთვის დამზადდა სპეციალური ბუკლეტი, რომელიც აერთიანებს სამივე სპექტაკლის პროგრამებს, შალვა გაწერელიას ბიოგრაფიას, ფოტოებს, სპექტაკლის შესახებ სხვადასხვა დროს დაწერილ რეცენზიებს.

5 აპრილს სპექტაკლის პრემიერამდე მოზარდ მაყურებელთა თეატრის ფოიეში გაიხსნება შალვა გაწერელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოტო-საარქივო მასალა, აფიშები, სპექტაკლის მაკეტები და ესკიზები. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპოზიცია უნიკალურია და ისინი პირველად გამოიფინება.

თეატრის ახალმა მმართველმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა პირობა დადო, რომ შალვა გაწერელიას წლისთავამდე ამ სპექტაკლს აუცილებლად აღადგენდა და მის ხსოვნას მიუძღვნიდა. რეჟისორმა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა და 5 აპრილს შალვა გაწერელიას წლისთავზე „კუკარაჩას“ პრემიერა გათამაშდება.

– 5 აპრილს ჩვენ ვითამაშებთ „კუკარაჩას“ პრემიერას. ეს განახლებული დადგმა იქნება შალვა გაწერელიას ვერსიისა და მასზე ოთარ ბაღათურიამ იმუშავა. 5 აპრილს არის შალვა გაწერელიას წლისთავი და მის ხსოვნას მივუძღვნით. „კუკარაჩაში“ ყველა მსახიობი ახალი არ არის, ძველებიც თამაშობენ, მაგრამ გვინდა, „კუკარაჩა“ პრინციპულად გავიმეოროთ ზუსტად ისე, როგორც ჰქონდა ბატონ შალვას. შემომატება არის ძალიან საინტერესო. კუკარაჩას როლს ასრულებენ უცნობი მსახიობები ნიკუშა კვანტალიანი და შალვა ანთელავა, ინგას და მურტალოს ძალიან პოპულარული ადამიანები თამაშობენ. ინგას როლს ასრულებენ ნინო ლეჟავა და ლელა მებურიშვილი. ლელა ამ როლით შემოვა ჩვენი თეატრის კოლექტივში. მურტალო არიან კოტე თოლორდავა და ვახო ჩაჩანიძე. ვახოც ამ როლით შემოვა ჩვენს თეატრში, – განუცხადა „ახალ თაობას“ თეატრის მმართველმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

სპექტაკლის აღდგენა დაფინანსდა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ და 5 აპრილიდან ნოდარ დუმბაძის ამ ნაწარმოების ნახვა მოზარდ მაყურებელთა თეატრში უკვე ყველა მსურველს შეეძლება.

## ასტროპროგნოზი 5 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ფული გაქვთ, პრობლემას აგვარებთ. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რომელიც კარგად გამოგდით. **სასწორი** – იფიქრეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – შეცვალეთ ცხოვრების სტილი, ასე აჯობებს. **მშვილდოსანი** – არ აყვეთ ჭორებს, განაგრძეთ თქვენი საქმე. **თხის რქა** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **მერწყული** – თავს კრიტიკულად შეხედეთ, წარმატება მოვა. **თევზები** – საქმე კარგად მიდის, ნუ აჩქარდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ქართული კონიაკი; 2. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 3. მაღალი ხარისხის ქვანახშირი; 4. მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი; 5. ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება; 10. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 11. მოწინააღმდეგე კამათში; 12. მძიმე, გარდამავალი პერიოდი; 13. მხარე გერმანიაში; 16. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო სისტემა; 17. მხატვრული ორნამენტი; 19. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. ტყის მსხალი; 23. მანძილის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში.

**თარაზულად**: 6. ძვირფასი ქვებით ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 7. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 8. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 9. ტბა აღმოსავლეთ საქართველოში; 14. უზბეკეთის დედაქალაქი; 15. პოპულარული გერმანული ლუდი; 18. კლოუნის ნომერი, გამოსვლა ცირკში; 20. ლექსის, სიმღერის სტროფი; 22. უნგრელი პარტიზანი; 24. პლაჟი ლოს-ანჯელესში; 25. ჰიპოპოტამი ანუ...; 26. დიდი წვეულება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ბორის ბერეზოვსკის წერილი ვლადიმერ პუტინს რომან აბრამოვიჩმა გადასცა



რუსი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის მიერ, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სახელზე დაწერილი წერილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ აქტიური განხილვის თემა გახდა ადრესატს რომან აბრამოვიჩმა გადასცა. ამ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

აღნიშნული ფაქტი საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მეპატრონის რომან აბრამოვიჩის, გარემოცვამაც დაადასტურა, თუმცა მანამდე კრემლი არც გადამცემის ვინაობას ასახელებდა და არც წერილის შინაარსის შესახებ არ საუბრობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბერეზოვსკიმ აბრამოვიჩს ორი წერილი გადასცა ერთი რუსეთის პრეზიდენტის, მეორე კი ყოფილი პარტნიორის სახელზე.

ბერეზოვსკის მეგობრების განცხადებით, ის წერილში რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს პატიებას სთხოვს

2000 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბერეზოვსკი დიდ ბრიტანეთში, ემიგრაციაში ცხოვრობდა. რუსეთში ეძებნილი იქნა არა ერთი კრიმინალური დანაშაულის გამო. იყო ტექნიკურ მეცნიერებათა (1983) დოქტორი.

გ. მ.

# კალაძეს თბილისში მილანი ჩამოჰყავს

საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე გამოსამშვიდობებელ მატჩს 31 მაისს „დინამო არენაზე“ გამართავს. ამის შესახებ, კალაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას დაგეგმილ მატჩთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა და იმ ფეხბურთელების შესახებ ისაუბრა, რომელთა თბილისში ჩამოყვანასაც გეგმავს.



კახა კალაძე:

– მინდა მოვიწვიო ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც 10 წელი ჩემთან ერთად თამაშობდა. 10 წლის განმავლობაში ძალიან ბევრ წარმატებას მივაღწიეთ. რა თქმა უნდა, იყო წარუმატებლობაც. ყველა ის ადამიანი, რომლებთან ერთადაც „მილანში“ ამდენი წლის განმავლობაში ვიბრძოდი და ვთამაშობდი, 31 მაისს ჩამოვა და აქ, თბილისში ვიხილავთ.

გამოსამშვიდობებელ შეხვედრაში უცხოელი ვარსკვლავების გარდა მონაწილეობას ცნობილი ქართველი ფეხბურთელებიც მიიღებენ. სავარაუდოდ, მათ შორის იქნება ნაკრების ასევე ყოფილი მოთამაშე ლევან კობიაშვილიც, რომელმაც ეროვნული გუნდის დატოვების შესახებ განცხადება რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ კალაძეს გამოსათხოვარი მატჩის ჩატარება გასული წლის სექტემბერში სურდა, მაგრამ მაშინ მას „დინამო არენა“ არ დაუთმეს.

მ. ჟ.

# ფედერაცია ფეხბურთელების გაცილებაზე ალაპარაკდა

როგორც ჩანს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „შეწუხდა“ ნაკრებიდან წასული ფეხბურთელების წერილებით, რომელიც მათ ფეისბუქის მეშვეობით გამოაქვეყნეს. გეტყვით რომ, ეს პირველად ლევან კობიაშვილმა გააკეთა, შემდეგ კი – ალექსანდრე იაშვილმა.

ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოჩნდა მათი „დამამშვიდებელი“ პასუხი:

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოხატავს გულწრფელ მადლიერებას ყველა იმ ფეხბურთელის მიმართ, ვინც წლების მანძილზე ერთგულად იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას და სიამაყით ატარებდა ნაკრების ფორმას.

ჩვენმა ფეხბურთელებმა ქართველ გულშემატკივარს არაერთი დასამახსოვრებელი წუთი აჩუქეს. მათ ბევრი რამ გააკეთეს ეროვნული ნაკრებისათვის. სწორედ, ამიტომ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2013 წლის ნოემბერში, როცა ეროვნული ნაკრები საშინაო ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს, მოეწყობა იმ ფეხბურთელების ოფიციალური, საზეიმო გაცილება, რომლებმაც მიმდინარე სეზონში საკუთარი სურვილით განაცხადეს ხანგრძლივი სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ.

საზოგადოებას და გულშემატკივარს მიეცემა საშუალება, კიდევ ერთხელ იხილონ გამორჩეული ფეხბურთელები ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და ყველამ ერთად, მადლობითა და მხურვალე ოვაციით გავაცილოთ ისინი ქვეყნის უპირველესი გუნდიდან.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დღე ყველასათვის დაუვიწყარი იქნება.

მ. ჟ.